გაზეთი ბიეკრია. „ვერსია“ ერთი

ვერსია

№43 (1633) 2 — 8 ნოემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

იყავით ფრთხილად! – მოქმედებს ორგანიზებული ბანდა

ვინ იყენებს „კანონიერი ქურდის“, ნადირ სალიფოვის ძმის სახელს

რატომ „ფშვინავს“ ოპოზიცია

„ეს დაძაბავს სიტუაციას“ – რას სთავაზობს გიორგი მარგველაშვილი კოლეგებს

რეალური მიზეზი, რის გამოც ნიკა ობოლაძემ ენმ დატოვა

„ჩემს წუხილს პარტიაში უმრავლესობა გრძნობს“

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

მამუკა არეშიძე: „რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღება არაფერს გვაძლევს“

„გამორიცხული არაა, რომ რუსეთის მოქალაქეებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სპეციალურად არიან შემოგზავნილები“

პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ტ.ძ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ნაცნობს – 1996 წელს დაბადებულ თ.ხ.-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტ.ძ. მომხდარიდან მალევე, თბილისში დააკავეს.

პოლიციამ, დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოების, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს – დაკავებულია ექვსი პირი.

დაკავებულებს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა და ტარება ედებათ ბრალად.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით, ორი პირი: 1965 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ი.ვ. და 1993 წელს დაბადებული ჯ.დ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი იარაღები, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ამავე დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით არის დაკავებული 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.კ.

პოლიციამ, ბრალდებულის ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 5 ვაზნა.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1964 წელს დაბადებული ს.ი. ახალქალაქში დააკავეს. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ს.ი.-ს საცხოვრებელ სახლსა და დამხმარე სათავსოებში ჩატარებული ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის განკუთვნილი 186 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

1980 წელს დაბადებული ჯ.ვ. კი კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით არის დააკავებული. სამართალდამცველებმა სიღნაღში, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება 1989 წელს დაბადებულ კ.ხ.-ს, იგი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქუთაისში დააკავეს. მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა და ტარება ედება. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა რევოლვერი და 22 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციამ სიღნაღში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ზ.ა. დააკავეს. მას ბრალად ედება ოჯახის წევრის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 10-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა მამაკაცმა სიღნაღში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თავის დას – 1988 წელს დაბადებულ მ.ა.-ს ფიზიკური დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული ზ.ა. ცხელ კვალზე დააკავეს.

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-117-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებში აშშ-ს ილინოისის შტატის პოლიციის დირექტორმა სამუშაო შეხვედრები გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელ პირებთან გაცნობითი შეხვედრები გამართა საქართველოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მყოფმა, ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის პოლიციის დირექტორმა, ბრენდან კელიმ.

ვიზიტის ფარგლებში, ილინოისის პოლიციის დირექტორი ეწვია შსს-ს აკადემიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური პოლიციის დეპარტამენტებს. შეხვედრების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ბრენდან კელის დეტალურად გააცნეს დეპარტამენტების სტრუქტურა და საქმიანობის სპეციფიკა, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით ძალადობის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი ძალადობის და სხვა მიმართულებებით საქართველოში არსებული მდგომარეობა.

ბრენდან კელისთან ერთად, შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) დირექტორი სარა რუპერტი და პოლიციის საკითხებში უფროსი მრჩეველი ერიკ საივეკი.

ვიზიტის ფარგლებში, ბრენდან კელიმ დაათვალიერა შსს-ს აკადემია, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორია, საპატრულო ეკიპაჟის აღჭურვილობა და გაეცნო ერთიანი მომსახურების ცენტრის მუშაობის სპეციფიკასა და არსებულ სერვისებს.

შეხვედრების დასასრულს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

2019 წლიდან, ბრენდან კელი ილინოისის პოლიციის მერვე დირექტორია. როგორც დირექტორი, იგი მთელი შტატის მასშტაბით ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სააგენტოს, კრიმინალური გამოძიების, საპატრულო, საექსპერტო, სასამართლო სერვისების, 911-ის, აკადემიის, სატრენინგო და სხვა მიმართულებებს.

რატომ „ფშვინავს“ ოპოზიცია

„ეს დაძაბავს სიტუაციას“ – რას სთავაზობს გიორგი მარგველაშვილი კოლეგებს

ნინო დოლიძე

ქართულ ოპოზიციას საღათას ძილით რომ სძინავს, ამის მიხვედრას არც დიდი ნათელმხილველობა სჭირდება და არც – პოლიტექსპერტობა, თუმცა ვიღაცები იხტიბარს არ იტეხენ და თავს იმშვიდებენ, აბა, მეტი რა ქნას ოპოზიციამ, რევოლუციას ხომ არ დაიწყებსო?! არა, ქალბატონებო და ბატონებო, რევოლუცია კარგი არ არის, მაგრამ არც ისაა კარგი, ზოგიერთი ოპოზიციონერი ბელადი სიტყვებს „ნაურაზე“ რომ ისვრის. ვის ვგულისხმობ? – ახლა, სახელ-გვარებს ნუ მომთხოვთ, თუმცა იმას კი გაგახსენებთ, ამ ზაფხულს, ზოგიერთები გულზე მჯიღს რომ იცემდნენ, ძალიან ცხელი შემოდგომა იქნება და ხელისუფლებას ბევრ თავის ტკივილს გავუჩენთო, მაგრამ როგორც ყოველთვის, ეს მუქარაც მუქარად დარჩა, შემოდგომა უკვე მიიპარება და აგერ, ზამთარიც მალე მოგვადგება, ოპოზიცია კი ისევ „ფშვინავს“.

რატომ „ჩაეძინა“ ოპოზიციას? – ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარი პასუხი არსებობს. ზოგი ამბობს, რომ რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე, ფინანსური ამოეწურა. სხვა ვერსიით, პრობლემა ისევ ენმ-ა ანუ ექსმმართველი პარტია, თურმე, ისევ ცდილობს, ოპოზიციის ლოკომოტივის ფუნქცია შეასრულოს, რაც დანარჩენ „ოპოებში“ გაღიზიანება-მრისხანებას იწვევს და ამიტომ, ყველა ოპოზიციური ფლანგი დამოუკიდებლად მოქმედებს. ყველაფერ ამაში ლოგიკა არის, თუმცა მთავარი ლოგიკა კი არა, გამოსავლის პოვნაა, რადგან თუ ქვეყანაში ძლიერი ოპოზიცია არ არსებობს, იქ დემოკრატიასა და განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ზოგადად, ოპოზიცია კონსტრუქციულ და საქმეზე ორიენტირებულ კრიტიკას ნიშნავს და არა – ლანძღვა-გინებას, თუმცა ქართულ პოლიტიკაში კრიტიკასა და ერთმანეთის შეურაცხყოფას შორის ტოლობის ნიშანია დასმული. ამიტომაც ვართ იქ, სადაც ვართ ანუ საქმე არავის აინტერესებს და როგორც შორეულ 90-იანებში, ოპონენტები ხალხის ყურადღების მიქცევას ერთმანეთის შეურაცხყოფით ცდილობენ, თუმცა ეს ხრიკი ისეთი მოძველებულია, რომ საზოგადოებას ყოველივე ამის დანახვაზე, მომიტევეთ და, ღებინება ეწყება.

ერთი სიტყვით, ოპოზიციას სძინავს და ამ დროს ექსპრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ახალი ინიციატივით გამოდის. კერძოდ, ის ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციას პარლამენტის დატოვებისკენ მოუწოდებს.

„ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც თანამშრომლობაზე იტყვის უარს, მოახდენს ხელისუფლების ლუსტრაციას, გამოიყვანს ოპოზიციას პარლამენტიდან და დაძაბავს სიტუაციას, არის პოზიტიური და მისაღები. უნდა იმოქმედოთ. პირველ რიგში, უნდა დატოვოთ პარლამენტი. ეს არ გადაწყვეტს სიტუაციას, მაგრამ ეს დაძაბავს სიტუაციას და მოახდენს ლუსტრაციას. ჩვენი დასავლელი პარტნიორები, რომელთაგანაც 24-საათიან ლანძღვას ვიგებთ ჩვენს ხელისუფლებაზე, ამ ნაბიჯში წამოგყვებიან“, – განაცხადა მარგველაშვილმა რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას.

ვერ გეტყვით, პრეზიდენტყოფილს რა ამოძრავებდა, როცა ზემოხსენებულ იდეას საჯაროს ხდიდა, მაგრამ ფაქტია, რომ „მარგველას“ ე.წ. მოწოდებას ოპოზიცია აგრესიით თუ არა ამრეზით შეხვდა.

აი, მაგალითად, ენმ-ს დეპუტატმა ანი წითლიძემ თქვა:

„ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ვერ გავიზიარებ ვერანაირ მოწოდებას ბატონი მარგველაშვილის, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ბევრად პრინციპული და ბევრად გაბედული მაშინ, როდესაც ის იყო საქართველოს პრეზიდენტი. ის რომ ყოფილიყო ბევრად პრინციპული და გაბედული, დღეს ქართული ოცნება არ იქნებოდა ხელისუფლებაში. ეს ერთი.

მეორე, ვერ გავიზიარებ იმ ადამიანისგან ამ მოწოდებას, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო ბევრად პრინციპული და გაბედული იმისთვის, რომ დღეს, ჩვენ პოლიტპატიმრები არ გვყოლოდა ამ ქვეყანაში და, მათ შორის, მას შეეძლო შეეწყალებინა საქართველოს მეორე პრეზიდენტი. შესაბამისად, მისი მხრიდან, თუ ის გულისხმობს ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც 10 წელია იბრძვის ქართული ოცნების წინააღმდეგ, რომელსაც 10 წელია ებრძვიან, იჭერენ, აკავებენ, მისი მოწოდება არის უბრალოდ არაეთიკური. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მას ჰქონდა ყველანაირი ბერკეტი იმისთვის, რომ შეესუსტებინა და დაესუსტებინა ქართული ოცნება, ამიტომაც ვუსურვებდი, რომ მეტად გაბედული ყოფილიყო მაშინ, როცა ის იყო პრეზიდენტი.

რაც შეეხება პარლამენტის დატოვებას, ამასთან დაკავშირებით მიღებულია პარტიის ერთიანი გადაწყვეტილება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვართ პარლამენტში და ეს გადაწყვეტილება ჯერჯერობით გადახედვას არ ექვემდებარება“.

სხვათა შორის, ყოფილი მმართველი პარტია ოპოზიციიდან პარლამენტში ყველაზე ბოლოს შევიდა. ახლა კი, საკანონმდებლო ორგანო არ ეთმობა.

რატომ? – მოდით, ამ კითხვაზე პასუხი სხვა დროს განვავრცოთ.

ანი წითლიძის მსგავსად, პარლამენტის დატოვების იდეა არ მოსწონს ენმ-ს კიდევ ერთ დეპუტატ რომან გოცირიძეს, რომელმაც „მარგველას“ იდეას პირდაპირ ასე უწოდა – „წყალწაღებული ხავსს ეჭიდება“:

„კვლავ გახშირდა მოწოდებები პარლამენტის დატოვების შესახებ. მოტივები სხვადასხვაა, გულუბრყვილო-სენტიმენტალურიდან დაწყებული, პრაგმატულ-ეგოისტურით დამთავრებული. პრეზიდენტ მარგველაშვილის მოწოდება ცოტა განსხვავებულია, პათეტიკურ-ეგზისტენციალური. პარლამენტის დატოვებაში გამოსავლის ძიება წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებას ჰგავს, ან კიდევ უფრო უარესიცაა – ხავსს მატერიალური შემადგენელი მაინც აქვს, ამ ქმედების პრაქტიკული შედეგი კი ხავსის ტოლიც არ არის. მსგავსი ნაბიჯი შეიძლება რაღაცის დამაგვირგვინებელი ყოფილიყო. ახლა, მიზეზების ძიებას რომ არ მოვყვე, ეს უკვე გვიანია. ვემზადოთ არჩევნებისთვის და გამოვიყენოთ პარლამენტის მწირი რესურსი გასაძლიერებლად. მწირი იმიტომ, რომ თავად ოპოზიციამ შევუწყვეთ ხელი, რომ ასეთი გამხდარიყო“.

ისე, მარგველაშვილი პირველი არ არის, ვინც ოპოზიციას პარლამენტის დატოვებისკენ მოუწოდებს. ამ იდეის პიონერი, უდავოდ, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილია, რომელიც იმთავითვე წინააღმდეგი იყო, ოპოზიცია პარლამენტში შესულიყო და მას მერე, რაც ოპოზიცია საკანონმდებლო ორგანოში მაინც შევიდა, ნათელაშვილი დღენიადაგ ამბობს, რომ გაყალბებული არჩევნებით შექმნილ პარლამენტში ოპოზიცია არ უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ მარგველაშვილის იდეა ოპოზიციაში განხეთქილების ახალი საბაბი გახდება. უფრო სწორად, ექსპრეზიდენტის განცხადება განცხადებად დარჩება, რადგან პრაგმატულად რომ შევხედოთ, ვის, ვის და, სწორედ ოპოზიციას არ აწყობს, რომ პარლამენტი დატოვოს და ამ ფონზე, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოითხოვოს.

რატომ? – პასუხი მარტივია: დავუშვათ, ვადამდელი არჩევნები დაინიშნა. ოპოზიციის ნდობის რეიტინგი, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა და ამ ფონზე, იმის გარანტიაც კი აღარ არსებობს, რომ დღევანდელი ე.წ. საპარლამენტო ოპოზიური პარტიები საარჩევნო ბარიერს გადალახავენ.

ჰოდა, ოპოზიციის ამ „ფშვინვა-ფშვინვაში“ 2024 წელიც მოვა და მერე გამოჩნდება, ვის რისი თავი აქვს...

მამუკა არეშიძე: „რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღება არაფერს გვაძლევს“

„გამორიცხული არაა, რომ რუსეთის მოქალაქეებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სპეციალურად არიან შემოგზავნილები“

გვანცა პეტრიაშვილი

მარტის შემდეგ, საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობა შემოვიდა. ყველაზე მეტი ვიზიტორი თბილისსა და ბათუმს ჰყავს. რუსეთის მოქალაქეები საქართველოს განსაკუთრებით 21 სექტემბრიდან, მას შემდეგ მოაწყდნენ, რაც ვლადიმერ პუტინმა ნაწილობრივი სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა... ამასთან, საქართველოს საშუალო თუ წვრილი ბიზნესი აქტიურად იყენებს ოკუპანტი ქვეყნის ენას რუსი ტურისტების მოსაზიდად. რას მოგვიტანს რუსეთის მოქალაქეების მასობრივი შემოსვლა და რა პოლიტ-ეკონომიკური საფრთხეები ახლავს ყოველივე ამას? – „ვერსია“ ექსპერტს კავკასიის საკითხებში, ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

– ბატონო მამუკა, საქართველოში რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობა შემოვიდა, საჯარო რეესტრს არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია, რუსეთის რამდენ მოქალაქეს მისცა მოქალაქეობა ან ბინადრობის უფლება, თუმცა ამ ადამიანების 20-30%-იც რომ დარჩეს საქართველოში, რა ტიპის ცვლილებებს გამოიწვევს?

– ერთი შეხედვით, პასუხის გაცემა რთულია იმიტომ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი ეთნიკური სურათია შემოსულ მოქალაქეებს შორის.

– რას გულისხმობთ?

– შემოსულების ნაწილი ქართველია, ქართული წარმოშობის. რამდენიმე ჩამოსულთან მქონდა ურთიერთობა, აბსოლუტურად სლავური გარეგნობა აქვთ, ნაწილს მამა ჰყავს ქართველი, დედა კი რუსი. არიან ისეთებიც, რომლებსაც ნათესავები ჰყავთ ქართველები და მათთან აფარებენ თავს. ეთნიკური ქართველობის გარდა, არის გარკვეული ჯგუფი, არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ მაინც საინტერესო ჯგუფი – კავკასიელები. კავკასიურ ჯგუფში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩერქეზები და ყაბარდოელები და ასევე, სხვა კავკასიელებიც არიან, მაგალითად, ჩეჩნები, რომლებიც არ ცხოვრობენ ჩეჩნეთში და არიან რუსეთის სხვა ქალაქების მკვიდრნი. ჩემი შეფასებით, მათი საერთო რაოდენობა 5-6%-ზე მეტი არ უნდა იყოს. რაც შეეხება სლავური წარმომავლობის ადამიანებს, რიცხვი, რასაკვირველია, ბევრად მეტია, მაგრამ ისინი არამყარი ჯგუფებია იმ თვალსაზრისით, რომ ძალიან ბევრი მათგანი, გარკვეული დროის შემდეგ, ქვეყნიდან მიდის. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მათთან მაქვს შეხება, როგორც უკრაინელებთან, ისე – რუსებთან. აქ, ძირითადად, დარჩნენ ის ხალხია, რომლებიც დაკავებულნი არიან IT-ტექნოლოგიური საქმიანობით, ასეთები ძალიან ბევრნი არიან, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს.

– რას მოუტანს ქვეყანას რუსეთის მოქალაქეების მასობრივი შემოსვლა, რა საფრთხეები ახლავს, როგორც ეკონომიკური, ისე – პოლიტიკური თვალსაზრისით?

– ამას ძალიან სერიოზული შინაარსი აქვს, მაგრამ არ მინდა, თამასა საყოფაცხოვრებო დაპირისპირებაზე უფრო მაღლა ავწიო, რადგან ეს აუცილებლად ცუდ შედეგს მოიტანს. პოლიტიკური დაპირისპირებები ძალიან სერიოზული და ხშირია, ამ დაპირისპირების ლიკვიდაცია კი – ძალიან რთული, ზოგ შემთხვევაში, ეს პროვოკაციულია, ზოგში – შემთხვევითი.

ერთი საინტერესო დეტალი უნდა გითხრათ, რომელიც საზოგადოებისთვის, ალბათ უცნობია – ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში, ლარსის საგუშაგოსთან შეიქმნა ვოლონტიორთა ჯგუფი, რომელიც რუსეთიდან ადრე ჩამოსული ადამიანებით იყო დაკომპლექტებული. ეს ადამიანები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყველგან, სადაც რუსები არიან გაფანტულნი, ქმნიდნენ კავშირის სისტემას, რომ ახალი შემოსულებისთვის შედარებით კომფორტული პირობები შეექმნათ საზღვარზე ანუ იგულისხმება – საკვების დახვედრება, ასევე, იურიდიული კონსულტაცია და ა.შ. საბოლოო ჯამში, ჩამოყალიბდა ვოლონტიორთა ჯგუფი, როგორც საზღვარზე, ისე – თბილისშიც, რომელიც ამ მიმართულებით დღემდე მუშაობს. ეს ადამიანები მარტო ჰუმანიტარულ კი არა, არამედ, გარკვეულ იურიდიულ და გეოგრაფიულ დახმარებასაც უწევენ – სად იქირაონ ბინა, სად წავიდნენ და ა.შ. გარდა ამისა, მათ შეთავაზებებში ძალიან საინტერესო პუნქტია – განმარტებები ადგილობრივი წეს-ჩვულებებსა და იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორისაა შექმნილი. ამ განმარტებაში პირდაპირ არის ნახსენები, თუ რატომაა რუსეთი ოკუპანტი. გვქონდა ამ ჯგუფთან ურთიერთობა და, პრაქტიკულად, ამ ნაწილშიც, რომ რუსეთი ოკუპანტია, ზუსტად მიჰყვებიან იმ ნარატივს, რაც ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთათვისაც რუსეთი ოკუპანტი არ არის.

რაც შეეხება ხიფათს, ეს ადამიანები, რომლებიც კომფორტში შედიან და დაძაბულობას ქმნიან, არ არიან ისეთი ხიფათის მატარებელნი, როგორც ისინი, რომლებიც პირიქით, ყველაფერში გეთანხმებიან. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც სპეციალურად არიან შემოგზავნილები და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარია. შემოგზავნილები არიან არა იმისთვის, რომ იდეოლოგიური ან რეალური სურათი შეცვალონ, არამედ, იმისთვის, რომ ერთი მხრივ, იმუშაონ „დეზერტირებში“ და მეორე მხრივ, შეუქმნან დისკომფორტი სახელმწიფოს. გადამწყვეტი უმრავლესობა არ არიან, მაგრამ რაც უნდა მცირე რაოდენობა იყოს, მაღალი პროფესიონალები იქნებიან და ეს მაღალი დონის პროფესიონალები 100 ტვინგაღუნულ ადამიანზე ბევრად უკეთესები არიან, შედეგის მიღწევის თვალსაზრისით. ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ და ბუნებით ისეთი ხალხი ვართ, რომ ჩვენთვის ყველაფერი ხიფათია. შუქი რომ ჩაქრეს, ისიც ხიფათია... ზოგი რუსეთის მოქალაქეებს სიხარულით იღებს და ამით ფულს შოულობს, ზოგიერთისთვის კი ეს პრობლემაა. სისტემა არ არსებობს, ვფიქრობ, სახელმწიფოს მართებს ბევრად მეტი ძალისხმევა, რომ კლასიფიკაცია მოახდინოს, ვინ ვინ არის და ვინ რას წარმოადგენს. ხიფათის გარკვეული ხარისხი არსებობს, მაგრამ ამის ლიკვიდაცია ან რისკის შემცირება ხელისუფლების ხელშია, თუმცა საზოგადოების ყურადღებაც საჭიროა.

– სტატისტიკით, ძალიან ბევრი იძულებულია, ემიგრაციაში წავიდეს და ამ ფონზე, რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველო ასეთი სასურველი რატომაა?

– შევისწავლეთ სურათი, როგორი ტიპის ადამიანები, რომელ ქვეყანაში მიდიან. ომის წინააღმდეგ ვინც არის, მათი უმრავლესობა ყაზახეთში კი არ წავიდა, აქ ჩამოვიდა. ეს საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებაა. გეოგრაფიასაც აქვს მნიშვნელობა, ციმბირის მკვიდრნი, ძირითადად, გარბოდნენ მონღოლეთსა და ყაზახეთში, რადგან ის ქვეყნები უფრო ახლოსაა. როგორც მონღოლური პრესა წერს, 1940-იანი წლების შემდეგ, ამდენი რუსი თვალით არ უნახავთ. უცხოური ორგანიზაციების შეფასებით, აქტივისტების დიდი ნაწილი საქართველოში მოდის, ტრადიციულად, საქართველოს რუსებისთვის ყოველთვის ჰქონდა მომხიბვლელობა. საქართველოს რუსეთთან ცალმხრივი უვიზო რეჟიმი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ აქედან რუსული პასპორტით გასვლა მარტივი არაა, მაინც ახლოსაა ევროპასთან, ვიდრე – ყაზახეთი. ამ კატეგორიის რუსებს, რომლებიც საქართველოსა და ყაზახეთში მოხვდნენ, ევროპა არ იღებს. მაგალითად, ფინეთმა არ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ მთელი პეტერბურგის ოლქი გამწკრივებული იყო ფინეთის საზღვარზე. ჩვენი ინფრასტრუქტურა მათთვის უფრო მისაღებია, განსაკუთრებით ორ ქალაქში – თბილისსა და ბათუმში, თუმცა დაინტერესება გაიზარდა ქუთაისზეც. მათთვის აქაური ფასები ბევრად მისაღებია, რადგან მათი მატერიალური მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე რიგითი ქართველისა. ქართველები იმიტომ გარბიან ქვეყნიდან, რომ ცხოვრების უკეთესი პირობები უნდათ.

– ბატონო მამუკა, უნდა დაუშვას თუ არა ჩვენმა ქვეყანამ რუსი მოქალაქეების მასობრივი მიღება ანუ საჭიროა თუ არა რეგულაციების დაწესება, რათა შემცირდეს მათი მასობრივი შემოსვლა?

– ქართული ტურისტული იდეისთვის ხელმშემწყობი იყო რუსების დიდი რაოდენობა იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევძელით ისეთი ინფრასტრუქტურა და პირობები შეგვექმნა, რაც მომხიბვლელი იქნებოდა ევროპული დამსვენებლებისთვის. გვახსოვს, ჩვენს საზოგადოებას აღიზიანებდა, როდესაც ბევრი აღმოსავლელი იყო თბილისში. პერიოდულად, მწვავედ რეაგირებდა არაბების, თურქების, ირანელების მიმართ. აქედან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, რუსების შემოშვება ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის მომგებიანი იყო. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა შეექმნა, რომ თავისი პრობლემები მოეგვარებინა, რამდენად მართალი იყო, ეს უკვე მეორე საკითხია, ყოველ შემთხვევაში, ახლა სავიზო რეჟიმის შემოღება არაფერს გვაძლევს.

რეალური მიზეზი, რის გამოც ნიკა ობოლაძემ ენმ დატოვა

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ნიკა ობოლაძე, რომელმაც ნაციონალური მოძრაობა დატოვა, აცხადებს, რომ ენმ-ს არ აქვს უნარი, შეცვალოს ხელისუფლება და სიტუაცია ქვეყანაში. ნიკა ობოლაძე საზოგადოებამ „გირჩიდან“ გაიცნო, სადაც „ბიბლიური თავისუფლების“ „მთავარეპისკოპოსი“ იყო, შემდეგ კი ნიკა მელიამ ნაციონალური მოძრაობის ახალ სახედ წარადგინა. რატომ გადაწყვიტა ენმ-ის დატოვება და რა პრობლემებს ხედავს ქვეყნის ყველაზე მრავალამომრჩევლიან ოპოზიციურ პარტიაში? – „ვერსია“ ნიკა ობოლაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– ნიკა მელიამ განაცხადა, ნიკა ობოლაძემ ვერ იპოვა ადგილი პარტიაშიო... მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ გადაიქცა პლატფორმად, სადაც ახალგაზრდა, დაინტერესებული ადამიანები, რომელთაც მანამდე პარტიასთან კავშირი არ ჰქონდათ, იპოვიდნენ ადგილს. ეს არა მხოლოდ ამ პარტიის, არამედ, მთელი ქვეყნის პრობლემაა. მიმაჩნია, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას სჭირდება ფუნდამენტური გადატვირთვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საპაკაშვილის ფაქტორი გაანეიტრალა ხელისუფლებამ ბინძური ხერხებით. მიშა აცხადებს, რომ ქართულ პოლიტიკაში არ ერევა, აღარ აკომენტარებს ქართულ პოლიტიკას და მხოლოდ უკრაინის ამბებით ინტერესდება. ბოლო ხუთი წელია, ვხედავთ, რომ არჩევნები მოგვპარეს და ვერ დავიცავით; პროპორციულ სისტემაზე გადასვლის დაპირება მოგვპარეს და ვერ დავიცავით; ევროპული არჩევანი ვერ დავიცავით და არ გვაქვს გარანტია, რომ მომავალი არჩევნები რომც მოვიგოთ, შედეგებს დავიცავთ.

ერთადერთი მიზანი მაქვს, მივაღწიოთ გამარჯვებას და გამოვართვათ ძალაუფლება „ოცნებას“, რადგან თუ ვამბობთ, რომ ის ატარებს პუტინის ინტერესებს, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ხელისუფლება გამოვართვათ. ამისთვის საჭიროა ოპოზიციაში კრიზისის დაძლევა, ნდობის მოპოვება, ენმ-ის ფუნდამენტური გადატვირთვა და ხალხისგან ლეგიტიმაციის აღება. რასაც ხელისუფლებას ვთხოვთ, ის უნდა გავაკეთოთ ჩვენ. ესაა ელექტრონული არჩევნები ფარულად, ესაა პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება, უნდა ჩატარდეს ოპოზიციაში პრაიმერისი. იქნება ეს შიდაპარტიული, თუ საერთო ოპოზიციური – გზა გამარჯვებისკენ არის ეს, რომ ოპოზიცია იქცეს ისეთად, როგორიცაა ევროპულ ქვეყნებში. ოპიზიცურ ფლანგზე უნდა ჩამოვაყალიბოთ ევროპული პასუხისმგებლობის კულტურა. ამიტომ ფუნდამენტური გადატვირთვის, ახალი ხალხისა და იდეების გარეშე, შეუძლებელია ამ მეთოდებით, სახეებით მივიდეთ შემდეგ არჩევნებზე და მოვიგოთ. შესაბამისად, საჭიროა, ჩავატაროთ ოპიზიციაში ფართო პრაიმერისი, რაშიც მონაწილეობას მიიღებენ მრავალი ათეულობით ათასი ადამიანი და ამ პროცესს ექნება ნდობა, ერთმანეთს პოლიტიკური ჯგუფები და ლიდერები დაუპირისპირდებიან დებატებით, კამპანიებით, გავიგებთ, რა ამოძრავებთ ამ პოლიტიკოსებს, რა ხედვა და მიზნები აქვთ. ოღონდ, ამ კონკურენციის შედაგად ჩამოყალიბდება ოპოზიციის ლიდერიც, ჩრდილოვანი კაბინეტიც და პრაიმერისი მოიტანს ერთიანობასა და პოლიტიკური იდენტობის გამოკვეთას, რადგან ოპოზიციონერებს ექნებათ საშუალება, გვიამბონ საკუთარი მისწრაფებების შესახებ, რასაც დღეს ვერ ახერხებენ მედიაში.

პოლიტიკური პარტიები უნდა შეთანხმდნენ დიდ საერთო მიზანზე და რეფერენდუმში – „რუსეთი თუ საქართველო“ ანუ შემდეგ არჩევნებში უნდა მოიგოს „საქართველომ“. ამისთვის გვჭირდება ერთობა, იდენტობა, პოლიტიკური პროცესისადმი ნდობის დაბრუნება და ყველაფერ ამას მოგვცემს საერთო ოპოზიციური პრაიმერისი.

– ნიკა, ისიც კი თქვით, ოპოზიციონერებს ხალხი აღარ გვისმენს, როცა ვსაუბრობთ, ტელევიზორს თიშავენო. რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ასეთი თვითკრიტიკული განცდა გაუჩნდეს ბევრ ოპოზიციონერს?

– თუ მათ საზოგადოებასთან რეალური კომუნიკაცია ექნებათ, მიხვდებიან, რომ დღეს პოლიტიკოსებს ადამიანები არათუ არ ენდობიან, არამედ, არ უსმენენ, რადგან საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ისინი საინტერესონი არ არიან. წლებია, ერთი და იგივე სახეები, ერთი და იგივე ინტონაციით, ერთსა და იმავეს ამბობენ/ვამბობთ, რაც შესაცვლელია. ამის გათავისება აუცილებელია, რომ პოლიტიკურ სასაფლაოს დამსგავსებულ ქართულ პოლიტიკურ სივრცეს მიეცეს საშუალება, თავიდან დაიბადოს და მიეცეს თავისუფლება, რომ ხალხთან ურთიერთობა ჰქონდეს. დღეს პოლიტიკური სპექტრის აბსოლუტური უმრავლესობა მოწყვეტილია რეალობას. ჩვენ საზოგადოებას ველაპარაკებით ტელეეკრანებიდან და სამწუხაროდ, მის პულსზე ხელი არ გვიდევს და ვერ ვგრძნობთ, რა აინტერესებს.

– ენმ-ის პოლიტსაბჭოშიც ხედავთ პრობლემას. ფიქრობთ, რომ ეს ორგანო ფორმალობად იქცა? რამდენად ჩართულია პარტიის გადაწყვეტილებების მიღებაში პოლიტიკური საბჭო?

– პოლიტსაბჭო 120 ადამიანისგან შედგება და თითოეულმა 5 წუთი რომ ისაუბროს, გამოდის, რომ 10 საათი გაგრძელდება პროცესი, რაც არასერიოზული და ინსტიტუციონალური პრობლემაა. ჩემი აზრით, პოლიტიკურ პარტიაში შეუძლებელია 120-კაციანი პოლიტსაბჭო იყოს და ფაქტობრივად, ეს ნიშნავს, რომ არ არის ინსტიტუციური მექანიზმი პოლიტიკაზე სასაუბროდ. რა თქმა უნდა, ეს დიდი პრობლემაა.

– რას იტყვით პარტიის ლიდერებზე? ნიკა მელიასა და მის თავმჯდომარეობაში ხედავთ პრობლემას?

– ვერ დავადებდი სახელსა და გვარს ხელს, ზოგადად, ლეგიტიმაციის პრობლემაა, რადგან თუ პრაიმერისის შედეგად, იგივე სახელი და გვარი, თუნდაც ნიკა მელია გახდება თავმჯდომარე, მოიპოვებს ნდობას თავიდან, სავსებით მისაღები და კარგი იქნება. ეს ნიშნავს, რომ ასჯერ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე დღესაა, რადგან დღეს ბუნდოვანებაა ყველგან და ყველაფერში. პრობლემა სახელებსა და გვარებში კი არა, სისტემაშია.

– პარტიის ლიდერებს ამ საკითხებზე თუ დალაპარაკებიხართ. პარტიაში თანამოაზრეები გყავდათ?

– პარტიის რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები, პარლამენტის წევრები მიკავშირდებიან, მეთანხმებიან და ამბობენ, რომ რაღაცები შესაცვლელია. შესაძლოა, ამ პროცესს დავასწარი, მაგრამ საბოლოო ჯამში, პარტიაში მიმდინარეობს ასეთი პროცესი – ადამიანები არიან უკმაყოფილონი, მათ შორის, ლიდერშიფით, რადგან გასაგებია, რომ თუ ფუნდამენტურად რაღაც არ შეიცვალა, ძალიან გაგვიჭირდება, ძალაუფლება გამოვართვათ „ქართულ ოცნებას“. ასე რომ, ჩემს ამ წუხილს პარტიაში უმრავლესობა გრძნობს.

– თუ ასეა, რატომ არ სთხოვენ პარტიის ლიდერებს ცვლილებების გატარებას?

– ცვლილებები გარდაუვალია.

– თავად მელია რატომ არ თანხმდება თქვენს ინიციატივას?

– არ ვიცი. ვფიქრობ, რომ ჩემი იდეა პარტიისა და ოპოზიციის გაძლიერებისკენაა მიმართული, თუმცა შეიძლება, ჩემი იდეა, რაღაც შემთხვევაში, რისკებს ბადებდეს ძველი პოლიტიკური კლასისთვის, რომ გავლენა აღარ ჰქონდეთ იმ მასშტაბებით პოლიტიკურ პროცესზე და შეიძლება, მათი მიზანი ამ რისკების არდაშვებაა.

– მოკლედ, მიგაჩნიათ, რომ ძალაუფლებისა და გავლენის დაკარგვის ეშინიათ?

– სამწუხაროდ, ასე ჩანს.

– მელიამ როცა პარტიის ახალი სახეები, მათ შორის, თქვენც წარგადგინათ, მაშინ გქონდათ განცდა, რომ ის რეალურ რეორგანიზაციას იწყებდა და პარტიას ახალ სისხლს შემატებდა?

– კი, იყო ეს განცდა. მაშინ 12 ადამიანი წარადგინეს, მაგრამ რამდენმა მათგანმა იპოვა პარტიაში ადგილი, ვერ გეტყვით.

– თქვენ იპოვეთ ეს ადგილი?

– პარტიაში ადგილი დაკავებულია არასწორი თემებითა და ხერხებით.

– სხვა პარტიაში გაწევრიანებას ან „გირჩში“ დაბრუნებას ხომ არ გეგმავთ?

– არ მაქვს მსგავსი გეგმა. გულწრფელად დაინტერესებული ვარ პოლიტიკით და ამ ქვეყნის ბედით. ერთადერთი ჩემი გეგმაა, რასაც ვფიქრობ, ის ვთქვა, რადგან ახლა სიმართლის გარდა, გამოსავალი არ არსებობს.

– ნიკა, მკითხველს თქვენი იდეა უტოპიურად რომ არ მოეჩვენოს, განმარტეთ, რა გზით უნდა გაიმართოს პრაიმერისი?

– პრაიმერისი ტარდება პარტიებში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში... ანუ ამბავი ესაა – შეიძლება, ოპიზიციის მომხრეები ელექტრონულად დარეგისტრირდნენ პლატფორმაზე, სადაც მათ ექნებათ ხმის მიცემის უფლება. ეს უნდა გააშუქოს კრიტიკულმა მედიამ, უნდა გაიმართოს დებატები და მრავალმა ადამიანმა, ვინც ოპიზიციურადაა განწყობილი, უნდა გამოავლინოს ოპოზიციის ლიდერი. ესაა დასავლური კულტურა.

სკანდალის მოლოდინში – აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, შესაძლოა, გენერალურ პროკურატურაში დაიბარონ

მაკა რუხაძე

თაღლითობის რა ფაქტები გამოვლინდა აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტში – სახელმწიფო აუდიტის დასკვნა

გამორიცხული არ არის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ა/რ) ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, ჯაბა ფუტკარაძე გენერალურ პროკურატურაში დაიბარონ. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა სკანდალური დასკვნა, რომელიც სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურის – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2020-2021 წლების საქმიანობას ეხება. გარდა იმისა, რომ აუდიტის შედეგად უამრავი დარღვევა გამოვლინდა, გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის – თაღლითობის ფაქტებიც. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის ეს ანგარიში საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადაიგზავნება!

ხარვეზები ბიუჯეტის შესრულებაში

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ „გზების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში, 2020-2021 წლებში, საავტომობილო გზების დეპარტამენტს აუთვისებელი დარჩა 5 584 148 ლარი, რაც სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების სახელშეკრულებო ვადებში შეუსრულებლობით (სამუშაოების შესრულების დაყოვნება მნიშვნელოვნად გამოწვეულია კორონავირუსის – COVID-19-ის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით), ასევე რიგი შესყიდვების პროცედურების დაგვიანებით დაწყებით და შესყიდვების უარყოფითი შედეგით დასრულებით.

„მიმწოდებელი კომპანიების ნაწილმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების დასრულება, ასევე, ღონისძიებების ნაწილში, შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზისა და ხარისხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაგვიანებით წარმოდგენის გამო, ვერ განხორციელდა ანაზღაურება – 3 664 300 ლარის ოდენობით. დარღვევების მაგალითებია: შუახევის მუნიციპალიტეტში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები – ღირებულებით, 1 638 883.57 ლარი, ქედის მუნიციპალიტეტში – 1 291 760 ლარი, ხულოს მუნიციპალიტეტში – 3 182 052 ლარი. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შემსრულებელი კომპანიები დაჯარიმდნენ, ხოლო ბიუჯეტიდან აუთვისებელი დარჩა 2 584 995 ლარი“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, ცალკეულ შემთხვევებში, ვერ მოხერხდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადება ან ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. მაგალითად, ქობულეთში, სოფელ ხუცუბანში, ინდუსტრიული ზონის მიმდებარედ, ახალი გზის მშენებლობის მიზნით, საპროექტო დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნა დაგვიანებით. 2021 წელს, აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობის მიზნით, ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 500 000 ლარი, თუმცა პროექტის დაგვიანებით მომზადებისა და მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის არსებობის გამო, დეპარტამენტმა მესამე კვარტალში უკვე იცოდა, რომ სამუშაოების შესყიდვის პროცედურები ვერ დაიწყებოდა მიმდინარე წელს, თუმცა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დაზუსტება და სხვა პროექტებზე გადანაწილება არ უზრუნველჰყო. ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ჭოროხის გზაზე ნაპირსამაგრი ნაგებობით ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობისა და შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფელ კარაპეტის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები დასრულდა უარყოფითი შედეგებით, შესაბამისად, 340 000 ლარი ვერ აითვისეს.

„გარდა ამისა, „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამაში, 2020-2021 წლებში, აუთვისებელი დარჩა 4 730 908 ლარი. მოპოვებული ინფორმაციით, აუთვისებლობის მთავარი მიზეზი იყო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გამოუყენებლობა, ასევე, შემსრულებლების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა და უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერი. კერძოდ, 2021 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 850 000 ლარის ღირებულების სპეცტექნიკის შეძენა, რომლის შესასყიდად გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი 2021 წლის 21 სექტემბერს დასრულდა უარყოფითი შედეგით. დარჩენილ პერიოდში აღარ გამოცხადებულა ახალი ტენდერი“.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ სამშენებლო და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, 2021 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 910 000 ლარის საზედამხედველო სამუშაოების შესყიდვა, საიდანაც აითვისეს 277 867 ლარი. ეს განპირობებულია იმით, რომ ცალკეულ შემთხვევებში, გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე ტენდერი ვერ გამოაცხადეს. გარდა ამისა, მიმწოდებელი კომპანიების ნაწილმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში სამუშაოების დასრულება. შესაბამისად, შეფერხდა საზედამხედველო სამუშაოებიც და ვერ იქნა ათვისებული ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები.

„ჯამში, 283 405 ლარის აუთვისებლობა გამოწვეულია იმით, რომ ბეტონის შესყიდვასთან დაკავშირებით, კომპანიებმა დროულად არ წარმოადგინეს ლაბორატორიული დასკვნები, რამაც შეაფერხა ანგარიშსწორების პროცედურები, ხოლო ერთ-ერთმა კომპანიამ ვერ მოახერხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მზა ბეტონის სრულად მიწოდება, რის გამოც შეწყდა ხელშეკრულება. 2020-2021 წლებში, დეპარტამენტს ბიუჯეტიდან აუთვისებელი დარჩა 12 231 675 ლარი. ცალკეულ შემთხვევებში ვერ იქნა უზრუნველყოფილი ბიუჯეტის დროული დაზუსტება და თანხის სხვა პროექტებზე გადანაწილება, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სწორი დაგეგმვა, რაც მიუთითებს ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და პროექტების დაგეგმვის ხარვეზებზე“.

ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ დეპარტამენტში, 2020 წელს, დასაქმებული იყო 63 საჯარო მოსამსახურე, რომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გადახდილია 987 257 ლარი, ხოლო 2021 წელს დასაქმებული იყო 60 საჯარო მოსამსახურე და მათმა ანაზღაურებამ შეადგინა 953 693 ლარი. გარდა აპარატში დასაქმებული პირებისა, „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 2020-2021 წლებში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 442-458 ადამიანს შორის, რომელთა შრომის ანაზღაურებამ, 2020 წელს – 2 470 640 ლარი, ხოლო 2021 წელს – 2 665 563 ლარი შეადგინა.

„შრომის ანაზღაურების შესწავლისას გამოვლინდა, რომ 2020 წელს, „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ პროგრამის ფარგლებში, შრომის ანაზღაურება გაცემულია ფიზიკურ პირზე, რომელიც არ იყო დეპარტამენტის თანამშრომელი, შესაბამისად, გადარიცხვის საფუძვლები არ არის ავთენტური. აღნიშნულ ჩარიცხვებს ახორციელებდა გადარიცხვებზე პასუხისმგებელი პირი, საფინანსო საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურის უფროსი, საკუთარ ანგარიშზე. ჯამში ჩარიცხულ იქნა 4 800 ლარი, რომელიც ზედმეტად გადახდილი თანხაა და შეიცავს თაღლითობის რისკებს (?!). ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა 2019 წელსაც, თუმცა ამ შემთხვევაში, პირთან არსებობდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე დასაქმებული პირის ანაზღაურება გაცემულია ორჯერ, ჯამში – 880 ლარი და რომელიც ჩარიცხულია ზემოთ აღნიშნული პირის ანგარიშზე. ამრიგად, ჯამში განხორციელებულია 13 საეჭვო ტრანზაქცია, რომელთა საფუძველზე გადარიცხულია 5 680 ლარი“.

გარდა ამისა, აუდიტორული პროცედურების დროს გამოვლინდა 24 ანგარიშის ნომერი, რომელიც აუდიტის მიმდინარეობისას უკვე გაუქმებული იყო, ასევე, დასაქმებულ პირთა დიდი ნაწილი აღარ მუშაობს დეპარტამენტში. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ

დასასრული მე-7 გვერდზე

სკანდალის მოლოდინში – აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი, შესაძლოა, გენერალურ პროკურატურაში დაიბარონ

მე-4 გვერდიდან

მოიპოვა შესაფერისი რწმუნება აღნიშნული ანგარიშების მფლობელების შესახებ. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, შრომის ანაზღაურების სახით გადახდილი თანხებიდან – 5 680 ლარის 13 ტრანზაქცია თაღლითობის რისკის შემცველია და მიუთითებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მხრიდან არამართლზომიერი ქმედების რისკებზე!

არათანაბარი კონკურენცია შესყიდვებში

აუდიტორებმა დარღვევები სახელმწიფო შესყიდვებშიც გამოავლინეს. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, 2020-2021 წლებში, შესყიდვების განხორციელებისას გამოვლინდა პრეტენდენტთა მიმართ არათანაბარი მიდგომები. კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია, რომ პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი მანქანა-მექანიზმები, რომელთა საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სარეგისტრაციო მოწმობის ასლები, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, როგორც შესაბამისი ხელშეკრულებების, ასევე, სარეგისტრაციო მოწმობების ასლებიც.

„უმცირესი ფასის – 109 777 ლარის წარმომდგენი პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია, რადგან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მეიჯარე იღებს ვალდებულებას, მის საკუთრებაში არსებული მანქანით შეასრულოს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამუშაო. სატენდერო კომისიამ მიიჩნია, რომ რადგან აღნიშნული ხელშეკრულებით ტექნიკის გამოყენების არეალი არ სცდებოდა ქალაქ ბათუმის ტერიტორიას და სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში, პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო წინადადების მოთხოვნებს და მას დისკვალიფიკაცია მისცა. შედეგად, გამარჯვებულად გამოვლინდა 28 162 ლარით მეტი, უმაღლესი ფასის – 137 939 ლარის წარმომდგენი პრეტენდენტი“.

ანალოგიური შემთხვევა იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას, რა დროსაც დეპარტამენტმა მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება. კერძოდ, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა წარადგინა იჯარის ხელშეკრულება, სადაც ავტოამწის გამოყენების არეალად მითითებულია ქალაქ ბათუმის ტერიტორია. სატენდერო კომისიას მისი დისკვალიფიკაციის საკითხი არ განუხილავს მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გამარჯვებულთან გააფორმა 37 747 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

„ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების თანახმად, შესყიდვაში მონაწილე პირმა უნდა წარადგინოს მანქანა-მექანიზმების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, საკუთრების შემთხვევაში – მექანიზმების სარეგისტრაციო მოწმობის ასლები, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, როგორც შესაბამისი ხელშეკრულებები, სადაც მითითებული იქნება ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ასევე, სარეგისტრაციო მოწმობების ასლებიც. გამოცხადებულ სამ ელექტრობულ ტენდერში, სატენდერო წინადადებაში არსებული მოთხოვნის მიუხედავად, გამარჯვებულად გამოცხადდნენ პრეტედენტები, რომელთაც არ აქვთ წარდგენილი მანქანა-მექანიზმების სარეგისტრაციო მოწმობების ასლები. ამასთან, ერთ შემთხვევაში წარდგენილია აუდიტორული დასკვნა, რომლითაც ვერ დგინდება მანქანა-მექანიზმების იჯარით სარგებლობის ხელშეკრულების ვადა, რაც აუცილებელი მოთხოვნა იყო. მიუხედავად დისკვალიფიკაციის საფუძვლებისა, პრეტენდენტები გამოცხადდნენ გამარჯვებულად და გაფორმდა 811 849 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2020-2021 წლებში, დეპარტამენტმა გზებისა და გზებზე ხელოვნური ნაგებობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, გამოაცხადა ოთხი ელექტრონული ტენდერი. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, პრეტენდენტს მოეთხოვებოდა ანალოგიური სამუშაოების განხორციელების გამოცდილება, მათ შორის, 400 000 ლარი ერთი ხელშეკრულების ფარგლებში. ოთხი შესყიდვიდან ერთ შემთხვევაში, გამარჯვებული გამოვლინდა შპს „პროჯეკტ კომპანი“, ხოლო დანარჩენში – შპს „გზაპროექტი“. იმ შესყიდვებში, სადაც მოთხოვნილია 400 000-ლარიანი გამოცდილება, შესყიდვები მიმდინარეობდა მინიმალური კონკურენციით, სადაც უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულ იქნა დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო. პირველი შესყიდვის დროს შედგა კონკურენცია და სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებით 29%-ით (98 364 ლარი) დაიკლო სახელშეკრულებო ღირებულებამ. მიუხედავად დადებითი გამოცდილებისა, შემდგომი შესყიდვებისათვის პრეტენდეტებისათვის დაემატა მოთხოვნა – ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, 400 000 ლარის ღირებულების გამოცდილების თაობაზე. როგორც სატენდერო დოკუმენტაციით ირკვევა, შპს „გზაპროექტს“ გააჩნდა მსგავსი გამოცდილება 2019 წელს, დეპარტამენტთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

„მიუხედავად იმისა, რომ ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების ღირებულება მერყეობს 140 000-დან 350 000 ლარამდე, იგივე მოთხოვნებია განსაზღვრული, რაც 2 000 000-დან 4 000 000 ლარამდე სამუშაოებისათვის (?!). შედეგად, იმარჯვებენ ერთი და იგივე კომპანიები. ამასთან, შესაძლებელია, არსებობდნენ სხვა კომპანიები, სამუშაოს შესრულების დიდი გამოცდილებით, მაგრამ სპეციალური მანქანების საკუთრებაში არქონის გამო, ვერ მონაწილეობდნენ დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ შესყიდვებში. გარდა ამისა, კომპანიების მიერ წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამუშაოების შესრულების ეტაპზე არ იყენებენ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ტექნიკას, ხოლო ზოგიერთი ტექნიკა საკმაოდ მოძველებულია, ამიტომ სპეციალური ტექნიკის საკუთრება არ ნიშნავს იმას, რომ ის გამართულია და მას იყენებენ“.

სატენდერო დოკუმენტაციაში, ზოგ შემთხვევაში, მითითებულია მანქანა-მექანიზმების ზუსტი მახასიათებლები, რაც შემზღუდველი გარემოებაა. მაგალითად, საავტომობილო გზა „შუახევი-ჩირუხის“ მონაკვეთებზე, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში, ერთ შემთხვევაში მოთხოვნილია სამი ექსკავატორი კონკრეტული მახასიათებლებით, ხოლო მეორე შემთხვევაში – არა. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ ტენდერში მონაწილეობდნენ დეპარტამენტის შესყიდვებში აქტიური პრეტენდენტები, მსგავსი მოთხოვნების განსაზღვრა ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციას.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ პრეტენდენტთა შერჩევის ეტაპზე არსებული ხარვეზების მიუხედავად, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გააფორმა 987 535 ლარის ღირებულების სამი ხელშეკრულება. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, სატენდერო დოკუმენტაციაში დაუსაბუთებელი მოთხოვნების არსებობა წარმოშობს შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტებზე მისადაგებისა და საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს.

პოლიციამ არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული მუქარის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ვ.დ., არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული მუქარის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს, ბრალდებულმა 2012 წელს დაბადებულ ა.ქ.-ს საცხოვრებელი ბინის კარზე დაუკაკუნა და განუცხადა, რომ დახმარება სჭირდებოდა, უარის მიღების შემდეგ კი სხვადასხვა ხერხით, მათ შორის, მუქარით ცდილობდა, იძულებული გაეხადა არასრულწლოვანი, მისთვის ბინის კარი გაეღო. მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანმა ვ.დ.-ს უთხრა, რომ ის პოლიციაში დარეკავდა, ბრალდებული ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი მომხდარიდან მეორე დღეს, თბილისში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ მუქარას გულისხმობს.

როგორ ვმართოთ აგრესია – ფსიქოლოგის რჩევები

სალომე ნოზაძე

სოციალური ქსელების განვითარების კვალდაკვალ, რაც უდავოდ პოზიტიური მოვლენაა, თავი იჩინა საზოგადოების ცალკეული წევრების, ცნობილი თუ უცნობი პირების, სხვადასხვა ჯგუფების მიმართ აგრესიამ, ბულინგმა, ღვარძლმა და ბოღმამ. ადამიანები ერთმანეთს აკრიტიკებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. პრობლემა საკმაოდ ღრმა და მრავლისმომცველია, თუმცა ამჯერად სექსუალური ორიენტაციის ნიშნით აგრესიაზე შევჩერდებით, რადგან ბოლო დროს, სწორედ ასეთი აგრესიის გამო, არაერთი ლგბტქ თემის წარმომადგენელს გაუსწორდნენ ფიზიკურად და რამდენიმე მათგანი მოკლეს კიდეც...

საიდან ჩნდება აგრესია, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, ადამიანებზე და როგორ ვმართოთ ის? – ამ თემაზე „ვერსია“ ფსიქოლოგ ნანა გოგიჩაიშვილს ესაუბრა.

„სექსუალური ორიენტაცია არაა არჩევანი“

– ქალბატონო ნანა, რა არის და საიდან იღებს აგრესია სათავეს?

– აგრესია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს თავდასხმას, შეტევას, შესაბამისად, აგრესია მიზანმიმართული და მოტივირებული დესტრუქციული ქცევაა, რომელიც ითვალისწინებს სხვა ადამიანისათვის ფიზიკური ან ფსიქოლოგური ზიანის მიყენებას, რა დროსაც აგრესიის მიზეზად შეიძლება განვიხილოთ ისეთი ზიანის მიყენება სხვისთვის ან სხვისი ინტერესებისთვის, რომელიც უკუაგდებს თავად აგრესორის ფრუსტრაციის წყაროს.

მსგავს შემთხვევაში, აგრესიის განმხორციელებლი სუბიექტი განიცდის სასიამოვნო ემოციურ განცდას და, სავარაუდოდ, სწორედ ამ ემოციის მიღწევაა აგრესიით მოტივირებული ადამიანის ქცევის მიზანი.

რაც შეეხება აგრესიის გამომწვევ მიზეზებს, ისინი შესაძლებელია, სხვადასხვა წინაპირობით იყოს გამოწვეული, მათ შორის, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით. კერძოდ, სხვადასხვა დაავადებით, ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობით, ნეგატიური ემოციების მოზღვავებით, ფრუსტრაციით ან მაღალი ხარისხის შფოთვით, კონფლიქტებით, ზოგადად, კონფლიქტებისადმი მაღალი მგრძნობელობით, ძალადობრივ გარემოში ყოფნით, საზოგადოებისაგან გარიყულობით, აღზრდის სტილით და სხვადასხვა სახის სუბიექტური მიზეზებით. მაგალითად, ექსტრემიზმი, ფანატიზმი, ხასიათობრივი და პიროვნული თავისებურებები და სხვ.

რაც შეეხება აგრესიის მართვას, ბუნებრივია, ეს შესაძლებელია, თუმცა ამას, პირველ რიგში, სჭირდება ადამიანის თავისუფალი ნება და მის მიერ იმის გაცნობიერება, რომ აგრესიული ქცევა, ხშირ შემთხვევაში, არსებითად უშლის ხელს ადამიანის ჯანსაღ სოციალიზაციას და ზოგად კეთილდღეობას, რადგან სიტუაციიდან გამომდინარე, აგრესიული ქცევა, შესაძლოა, ვეღარ დაექვემდებაროს კონტროლს და გახდეს აფექტის წინაპირობა.

... საერთოდ, არ შეიძლება, რომ უფლის, სიყვარულისა და სიკეთის სახელით იძალადო სხვა ადამიანებზე. ცალსახად ვგმობ ყოველნაირ აგრესიას და ძალადობას ნებისმიერი ადამიანის მიმართ აღმსარებლობის, ეროვნების, ორიენტაციის და ა.შ. მიუხედავად.

მესმის, რომ ყველას ვერ მოვთხოვთ სახელმწიფოებრივი აზროვნების, სამოქალაქო შეგნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის მაღალ დონეს, მაგრამ მე ასე მჯერა – ჩემი უფლებები ისე უნდა დავიცვა, რომ სხვისი უფლებები არ დავარღვიო. ნებისმიერი სახის ძალადობა ჩემთვის დანაშაულია და ვთვლი, რომ მსგავსი ქცევა ნამდვილად დასჯადი უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ აღნიშნულ ქმედებას, სამომავლოდ, პრევენციული ხასიათი ჰქონდეს.

რაც შეეხება ზღვარგადასულ სიძულვილს, ეს, პირველ რიგში, თავად ამ სიძულვილის მატარებელ ადამიანს აზარალებს და შემდეგ იმ სოციუმს, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს და საქმიანობს. სიძულვილი კი ვისაც და რასაც უნდა ეხებოდეს, ნამდვილად სირცხვილია!

– რატომ უჩნდებათ აგრესია განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანების მიმართ?

– „ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის“ მიხედვით, სექსუალური ორიენტაცია გამოხატავს „პიროვნული და სოციალური იდენტობის განცდას, რომელიც დამყარებულია იმ მიზიდულობებზე, მათ გამომხატველ ქცევებსა და იმ ჯგუფის მიკუთვნებულობაზე, რომლის წევრებიც ამ ემოციებს იზიარებენ“.

აქვე, მოგახსენებთ, რომ სექსუალური ორიენტაცია არაა არჩევანი. არ არსებობს სექსუალური ორიენტაციის გამომწვევი მარტივი ერთი მიზეზი, არამედ, კვლევების თანახმად, ეს არის გენების, ჰორმონებისა და გარემოს გავლენათა კომბინაცია და ისინი ითვალისწინებენ ბიოლოგიაზე დაფუძნებულ თეორიებს, რომლებიც გენეტიკურ და სოციალურ ფაქტორებზე მიუთითებენ.

სექსუალური ორიენტაცია, როგორც წესი, სამი სახის ტერმინით გამოიხატება: ჰეტეროსექსუალობა, ჰომოსექსუალობა და ბისექსუალობა.

ტერმინი „ჰომოფობია“ პირველად გამოჩნდა 1972 წელს, ამერიკელი ფსიქიატრის ჯონ ვეინბერგის წიგნში – „საზოგადოება და ჯანმრთელი ჰომოსექსუალი“, რომლითაც ავტორმა აღნიშნა ის შიში, რასაც განიცდიან ადამიანები ჰომოსექსუალებთან კონტაქტისას. მოგვიანებით, 2006 წლის ევროპარლამენტის რეზოლუციაში – „ევროპაში ჰომოფობიის შესახებ“, ეს ტერმინი დაიხვეწა, სადაც ნათქვამია, რომ ჰომოფობია წარმოადგენს წინასწარგანწყობაზე დაფუძნებულ ირაციონალურ შიშსა და სიძულვილს LGBTQI თემის მიმართ და მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და სექსიზმისა.

მაგალითად, როდესაც ადამიანი ამბობს, რომ „არანაირი ჰომოფობია არ მაქვს, მე მათი არ მეშინია, უბრალოდ, მაღიზიანებენ“, შეიძლება, ეს ჩაითვალოს ჰომოფობიის გამოვლინებად. ამავდროულად, ჰომოფობია უნდა განვასხვავოთ ჰომონეგატივიზმისგან, როდესაც ადამიანი, უბრალოდ, შორდება და ემიჯნება ერთსქესიანი ურთიერთობების თემას, თუმცა პირადად მას არაფერი აქვს მათთან საწინააღმდეგო.

რაც შეეხება განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანებისადმი აგრესიას, ხშირ შემთხვევაში, მისი წინაპირობა ხდება ზოგიერთი ადამიანის ქცევა, რომელიც მიზანმიმართულად ახდენს თავისი ცხოვრების წესის აფიშირებასა და პროპაგანდას, ირონიითა და სარკაზმით საუბრობს ტრადიციულ ურთიერთობებზე და ეროვნულ ღირებულებებზე, ცინიზმით საუბრობს რელიგიურ ფასეულობებზე, ახდენს სხვა ადამიანების დაინტერესებას და ინფორმაციის მიწოდებას ამა თუ იმ ორინტაციისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ.

მე, როგორც პრაქტიკოსი ფსიქოლოგი, ვმუშაობ ამ ადამიანებთან (ვერ ვიტყვი, რომ ხშირად, თუმცა ვმუშაობ) და მათ უმეტესობას, ხშირ შემთხვევაში, აქვს იდენტობისა და იმ ორიენტაციის აღიარების შიში, რომელსაც საკუთარ თავთანაც კი დიდი სიფრთხილით აღიარებენ, რომ დიახ, ეს ასეა, ისინი ნამდვილად განსხვავებულები არიან.

აქვე, გეტყვით, რომ ჩემი ღრმა რწმენით და პრაქტიკიდან გამომდინარე, მგონია, სწორედ ბიოლოგიური თვალსაზრისით განპირობებული განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები, ნაკლებად გამოვლენ ქუჩაში და დაიწყებენ მიტინგებსა თუ პრაიდებზე სიარულს, რადგან ვიცი, მათ ჰყავთ თავიანთი პარტნიორები, აქვთ პროფესია და აქვთ საკუთარი ცხოვრების წესი და შესაბამისად, არც სჭირდებათ თავის დაცვა. ისინი არასოდეს დასცინიან სხვებს და არ ცდილობენ ტრადიციული ღირებულებებისა თუ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას.

და ბოლოს, მინდა, მჯეროდეს და ღრმად მწამს, რომ ადამიანებს გვეყოფა კეთილგონიერება და განსხვავებული ორიენტაციის გამო არ ჩავქოლავთ, არ გავწირავთ და არ გავრიყავთ ამ ადამიანებს, ვინაიდან ორიენტაცია არ არის არც არჩევანი და არც – ცხოვრების წესი. ეს არის თანდაყოლილი თავისებურება, რომელიც განპირობებულია ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებებით. აქვე ვიტყვი, მწამს და მჯერა, რომ ვიპოვით და ვივლით სწორედ იმ გზით, რომელსაც ჰქვია ჭეშმარიტი ქრისტესმიერი სიყვარულის გზა! სიყვარულის, სიკეთისა და არა სიძულვილის გზა! დავესესხები ცნობილ ამერიკელ ასტრონავტ ნილ არმსტრონგს, რომელიც წერდა: „როდესაც მთვარიდან გადმოვხედე დედამიწას, დავინახე პატარა ცისფერი ბუშტი, ყოველგვარი ნაციონალობისა და მოქალაქეობის გარეშე. მე ავტირდი, რადგან ვიგრძენი, რომ ეს ცისფერი ბუშტი იყო ჩვენი პატარა სახლი, სადაც ჩვენ, სიძულვილით დაბრმავებული ადამიანები, ერთმანეთის აუტანლობით ვიძირებით გამუდმებულ ომებში“.

სამართალი

№43 2 ნოემბერი 2022 წ

იყავით ფრთხილად! – მოქმედებს ორგანიზებული ბანდა

ბათო ჯაფარიძე

ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ, რომ „კაი ბიჭები“ მთელი საქართველოს მასშტაბით გააქტიურდნენ და ბიზნესმენებს ფულს აწერენ. ეს განსაკუთრებით იქ შეინიშნება, სადაც ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობს – სამცხე-ჯავახეთში, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. მეტიც, ამას წინათ, სოციალურ ქსელში გავრცელდა ჩანაწერი, სადაც ერთ-ერთი თბილისელი „კაი ბიჭი“ „კანონიერ ქურდებს“ მიმართავს და ეუბნება, რომ აუხსნან, უნდა იყვნენ თუ არა „კაი ბიჭები“ „მეტადონის“ პროგრამაში ჩართულნი. ჩანაწერში ისმის ხმა, სადაც ის ამბობს, რომ „კაი ბიჭი“ არ უნდა იდგეს მეტადონის რიგში და არ უნდა სვამდეს იმ ჭიქიდან წამალს, საიდანაც სვამენ „ქათმები“ და „ბალანდიორები“. ამ ჩანაწერს კრიმინალურ სამყაროში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, ქურდების აზრიც გაიყო და... ამას წინათ, სწორედ იმ ადგილზე მომხდარი აფეთქება, სადაც „მეტადონი“ რიგდება, ამ ამბის გაგრძელებაა, ასე ამბობენ, თუმცა ბოლომდე სიმართლე არავინ იცის.

ვინ იყენებს „კანონიერი ქურდის“, ნადირ სალიფოვის ძმის სახელს

მანამდე კი იყო მარნეული და ქუჩაში დაცხრილული ის ადამიანი, რომელმაც ვიდეომიმართვა ჩაწერა და კრიმინალებს მოუწოდა, შეგვეშვით, თქვენთვის მოსაცემი ფული არ გვაქვს და მოცემას არც ვაპირებთო. მამაკაცს ოთხი ტყვია ფეხებში მოარტყეს ანუ არ მოკლეს, სამაგალითოდ დასაჯეს და სხვებსაც მიანიშნეს, რომ ურჩობის შემთხვევაში, უკან არაფერზე დაიხევენ.

„საქმე ის გახლავთ, რომ სახელმწიფო ბიზნესმენებს აღარ ატერორებს, ფულს აღარ აწერს და ადამიანებს სერიოზული დანაზოგი გაუჩნდა. ნაციონალების დროს, დაადგებოდნენ და ეუბნებოდნენ, რომ შავი სალაროსთვის 100 ან 200 ათასი იყო საჭირო, ან რომელიმე ჩინოვნიკს სასწრაფოდ ახალი ჯიპი სჭირდებოდა და სახელმწიფო ტერორზე ხმას ვერავინ იღებდა. ახლა ასე აღარაა და „ჭარბი ფულის“ მითვისება კრიმინალებმა გადაწყვიტეს. რამდენჯერმე გაიჟღერა ცნობილი „კანონიერი ქურდის“, ნადირ სალიფოვის, იგივე „გულის“ ძმის, ნამიკის სახელმა. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინ, „გული“ საკუთარი დაცვის წევრმა მოკლა, მისი მემკვიდრეობა კი ძმამ გადაიბარა.

„რეალურად, ნამიკის სახელს იყენებენ, ის კი არაფერ შუაშია. დმანისში დაბადებული ძმები ყველას უყვარს და ყველა პატივს სცემს და ეს იმიტომ, რომ ისინი მოსახლეობას არ ატერორებენ. ახლაც, ნამიკი თავად ცდილობს იმ ადამიანების ვინაობის დადგენას, რომლებიც მისი სახელით მოქმედებენ და ყველას ეუბნება, რომ მისთვის გადასახდელი არავის არაფერი აქვს“, – გვეუბნება ერთ-ერთი პირი, რომელსაც ფული მოთხოვეს და მან სამართალდამცავებს მიაკითხა.

გამოდის, რომ სალიფოვის სახელით სხვა სარგებლობს და ცდილობს, არა ერთი და ორი, არამედ, ასი ათასობით თანხა იშოვოს. იმასაც გვეუბნებიან, რომ რამდენიმე ადამიანმა გადაიხადა, ოჯახის წევრების მოკვლის მუქარას ვერ გაუძლო და ამ ხალხთან ახლა სამართალდამცავები მუშაობენ და ცდილობენ გაარკვიონ, ვინ დგას ყველაფერ ამის უკან. ამას წინათ ჩატარებული სპეცოპერაციაც ამის ერთ-ერთი გამძახილი იყო, როცა კრიმინალურ სამყაროსთან კავშირში მხილებული არაერთი პირი დაკავეს, თუმცა პრობლემა ისევ არსებობს. სამართალდამცავები არც იმას მალავენ, რომ მოქმედებს კარგად ორგანიზებული დაჯგუფება, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ ადამიანებს ფული გამოძალოს და ძალოვნებს დაუსხლტეს. პლუსი ამ საქმეში ის გახლავთ, რომ ამ დაჯგუფებას ახლა ნამიკ სალიფოვის ხალხიც ეძებს, მაგრამ პოლიციისგან განსხვავებით, თუ ისინი იპოვიან, ციხეში კი არ გაუშვებენ, არამედ, ქურდული წესებით დასჯიან.

„სახლში მოდის უცნობი ადამიანი, გეუბნება, რომ გაქვს გადასახდელი თანხა და გისახელებს ციფრს, შემდეგ გეუბნება დროს, როცა ეს თანხა უნდა ჩაბარდეს და მიდის. მერე იწყება ფიქრი, გადაიხადო თუ პოლიციაში წახვიდე. ბევრი ვიცი, ვინც უხმოდ გადაიხადა და ახლა მშვიდადაა, თუმცა იმის გარანტია, რომ გადახდას მეორედაც არ მოსთხოვენ, არავის აქვს. ამიტომ, ყოველთვის პოლიციაში წასვლა სჯობს“, – გვეუბნება ერთ-ერთი ბიზნესმენი.

ძალოვნებს რამდენჯერმე ჰქონდათ ბანდის დაკავების მცდელობა და ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე პირი დააკავეს კიდეც, თუმცა საინტერესო ის გახლავთ, რომ დაკავებულთაგან ვერავინ ამბობს, ვინ არის მეთაური, რადგან ის მათ თვალით არ უნახავთ და ბრმად მოქმედებდნენ. გამოძალული ფულიდან მათ გარკვეული, მცირე პროცენტი ერგებათ და კიდევ იმის დაპირება, რომ ყველაფერს „კანონიერი ქურდები“ გაიგებენ და მადლობასაც ეტყვიან, თუმცა რეალურად, არავინ არაფერს იგებს და სად მიდის უზარმაზარი თანხები, არავინ იცის. საუბარი უკვე მილიონობით ლარსა და დოლარზეა, რომელთა კვალს, ჯერჯერობით, ვერავინ მიაგნო.

იგივე ხდება სამცხე-ჯავახეთშიც, თუმცა ამჯერად სომხური წარმოშობის „კანონიერ ქურდებზე“ კეთდება აქცენტი და სქემა იქაც იგივეა. ჯერჯერობით, ამ რეგიონში სროლა და ცხვირ-პირის მტვრევა არ ყოფილა, მაგრამ ურჩების დასჯით იქაც იმუქრებიან. ჩვენი ინფორმაციით, ადამიანთა გარკვეული წრე ამბობს, რომ ქურდები ქართულ კრიმინალურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთვნენ, რომ ყველა ქალაქს ჰყავს „მაყურებელი“ (ეს ფრაზა იმ ჩანაწერშიც ისმის, ზემოთ რომ ვახსენეთ) და გროვდება „ობშჩიაკი“. არადა, ამის რიტუალური მტკიცებულება ნაკლებადაა. ყველა დიდ ქალაქსა თუ მცირე მუნიციპალიტეტში მაყურებლის ყოფნა არათუ სამართალდამცავებს, რიგით ადამიანებსაც არ გამოეპარებოდათ და ამის შესახებ ხმამაღლა ისაუბრებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ თემაზე აქტიური საუბრები მიმდინარეობს და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში.

„ის, რომ უხილავი ხელი, ან რომელიმე „კანონიერი ქურდი“ საქართველოში რომელიმე ქალაქს აკონტროლებს, აბსურდია. არის პატარ-პატარა საკუთარი ინიციატივები, ვიღაცებს სურთ, რომ მაფიოზობანა ითამაშონ და ყველაფერი ეს სრულდება მაშინვე, როგორც კი ჩვენთან შემოდის ინფორმაცია. რაც შეეხება ფულის გამოძალვის სქემას, ამ მიმართულებით ძიება მიმდინარეობს და მგონია, რომ ძალიან მალე დასრულდება“, – გვითხრა სამართალდამცავი უწყების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

მანამდე კი... 21-ე საუკუნეში, „კანონიერი ქურდი“ თუ „კაი ბიჭი“ ფულს რომ გძალავს, შენ ჩუმად იხდი, პოლიციაში არ მიდიხარ და განცხადებას არ წერ, პრობლემა უკვე სახელმწიფო სისტემაში კი არა, შენშია.

რატომ მოკლა სომეხმა ბიჭმა რუსი საცოლე

ბეწვეულის სისხლიანი სკანდალის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

დღეს მთავარია, ფული გქონდეს და შეიძენ ყველაფერს, რისი ყიდვაც შეიძლება და... არ შეიძლება. დეფიციტი, პრაქტიკულად, არაფერზეა და თუ რაღაც არ იყიდება ფულად, იყიდება უფრო დიდ ფულად. ადრე კი ასე არ იყო. გაგეცინებათ და, იტალიურ, ფრანგულ ან გერმანულ პროდუქციას ვინ ჩივის, სოციალისტური ქვეყნების – იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის ნაწარმიც კი დახლქვეშიდან იყიდებოდა, რადგან ხარისხით ადგილობრივ წარმოებას სჯობდა. თუ ვინმეს ბედი გაუღიმებდა (ბედი, ძირითადად, ცნობილი ანსამბლების წევრებსა და წარმატებულ სპორტსმენებს უღიმოდათ) და იტალიაში, ან საფრანგეთში მოხვდებოდა, ბევრად მაღალი ხარისხის ნივთები მოჰქონდა. ფეხსაცმელს ვინ ჩივის, ჯინსიც კი სანატრელი იყო და შავ ბაზარზე სისხლის ფასად იყიდებოდა. არ იშოვებოდა დეფიციტური წამალი, გამორიცხული იყო, საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა და ოპერაციის ევროპულ კლინიკაში გაკეთება.

ასე იყო ბეწვეულზეც. კარგი, ხარისხიანი ბეწვეული, გარდა იმისა, რომ არ იშოვებოდა, ძალიან ძვირი ღირდა, მანქანის ფასი და ქურქებიც, ძირითადად, მაღალჩინოსანთა მეუღლეებისთვის იყო განკუთვნილი და ისინი ამ სიამოვნებას არ იკლებდნენ. მეტიც, როცა ახალი მოდელები გამოდიოდა, მაღალჩინოსანთა ცოლები ერთმანეთს ასწრებდნენ მის შეძენას და რაოდენობაც შეზღუდული იყო. ფასებიც შესაბამისი გახლდათ და როცა ბეწვეულის ქარხნის დირექტორი იყავი, იმას ნიშნავდა, რომ შენთვის ყველა კარი ღია იყო. რატომ? იმიტომ, რომ უდიდესი ალბათობით, საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს წევრთა ცოლებსა და ქალიშვილებს მოსავდი და აოცებდი საკუთარი ნაწარმით, უფრო მაღალი თანამდებობის პირების მეორე ნახევრებს ქურქებს ერთი კვირით ადრე აძლევდი, დანარჩენებს – ცოტა გვიან და ყველაფერი ეს კოლოსალურ თანხებთან იყო დაკავშირებული. კარგი, ხარისხიანი ქურქის ყიდვა ჩვეულებრივ მაღაზიაში, დახლზე წარმოუდგენელი გახლდათ.

სხვათა შორის, მოსკოვის ქარხნის დირექტორებიდან არავინ მალავდა, რომ საკუთარი პროდუქციის ჩამოტანა და გაყიდვა კავკასიაში ერჩივნათ, რადგან ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი მაღალჩინოსნების მეორე ნახევრები ბევრად მეტს იხდიდნენ ქურქებში. სწორედ ამიტომ, ქარხნიდან „ლევად“ გატანილი ქურქები კავკასიურ ბაზარზე არცთუ იშვიათად ხვდებოდა და არაოფიციალური ყიდვა-გაყიდვაც იმართებოდა.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი დახურული ჩვენების დროს, ერთ-ერთი კორპუსის სახურავზე, მცირე ინციდენტი მოხდა – მაშინ, როცა ქალები ქურქებს ათვალიერებდნენ, ვიღაც გოგო შევარდა და ყვირილი დაიწყო, ცხოველები როგორ არ გეცოდებათ, ამ ქურქებისთვის ხომ ცოცხალი არსებები დახოცესო. ეს, ერთი შეხედვით, ნამდვილი შოკი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. მოსკოვიდან ჩამოსულმა სტუმარმა, რომელიც ბეწვეულის ქარხანაში მეორე კაცი იყო, ჰაერში ხელი აღმართა და სტუმრებს უთხრა, ნუ შეგეშინდებათ, ეს ჩემი ქალიშვილია, რომელიც თბილისში დასასვენებლად წამომყვა, ცხოველების თავგადაკლული დამცველი და ჩემი ერთადერთი მემკვიდრეა. მას შემდეგ, რაც ცოლი გარდამეცვალა, მას კიდევ უფრო მეტად ვანებივრებ და სავარაუდოდ, სწორედ ამის ბრალია, ნერვებს რომ მიშლისო. სტუმრებმა გაიღიმეს, ყველა თავის ქურქს მიუბრუნდა, გოგონამ კი თავი დახარა და კორპუსიდან დაბლა დაეშვა...

ეს ღონისძიება თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გოგონა კორპუსის მიმდებარე სკვერში, იმავე ღამით, შემთხვევითმა გამვლელმა გარდაცვლილი იპოვა. ქალს დანა მკერდში ტარამდე ჰქონდა დარტყმული, როცა მამას მომხდარის შესახებ ამცნეს, გულის შეტევა დაემართა და საავადმყოფოში გააქანეს. იმის გათვალისწინებით, რა გავლენა ჰქონდა ბეწვეულის ქარხნის დირექტორს მოსკოვსა და საქართველოში, სადაც მისი მოადგილე მარჯვენა ხელად ითვლებოდა, ადვილი მისახვედრია, რუსეთის კი არა, საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან ვინ დარეკავდა და რას მოითხოვდა. სამართალდამცავებს საქმე არ უნდა გაეხმაურებინათ და... ყველაზე ცუდ შემთხვევაში, 72 საათში გაეხსნათ.

გოგოს მამა მარტო არ იყო ჩამოსული. ბეწვეულის დარაჯებსა და ოთხ მოდელ გოგოსთან ერთად, სასიძოც ახლდა, რუსეთში სტუდენტობისთვის წასული სომეხი ბიჭი, რომელიც შემდეგ ქარხანაში მოეწყო და სასიმამროს მარჯვენა ხელი გახდა. აზრზე მოსულმა კაცმაც დაბეჯითებით თქვა, ამ ბიჭმა ჩემი ყველაფერი იცის, სანამ მე ფეხზე წამოვდგები, ყველაფერში ის დაგაკვალიანებთო. ბიჭმა თავიდან პირობა კი მისცა აწ უკვე ყოფილ სასიმამროს, მე დავეხმარებიო, მაგრამ როგორც კი მარტო დარჩა გამომძიებლებთან, უშვერი სიტყვებით გინება დაიწყო და რაც მთავარია, საკუთარ თავს აგინებდა.

„იმიტომ კი არა, რომ შეძლებული მამა ჰყავდა, არამედ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა, ჩემი, სიმწრით ნაყიდი ბინა მოსკოვის ახლადაშენებულ კორპუსში ამ გოგოზე გადავაფორმე. ვუთხარი, ქონება არ მინდა, ბინაც შენი იყოს-მეთქი. ყველაფერი ეს სამი თვის წინ მოხდა, სამ თვეში ქორწილს ვაპირებდით და ახლა აღარც საცოლე მყავს, აღარც ბინა მაქვს, ის მემკვიდრეობით მამამისს ერგება, მე კი... მე არც არაფერი“, – ლამის თავი მოეკლა ყმაწვილს.

მისი თქმით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ჩამოსვლისთანავე ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოვიდა. „მას მოსკოვიდანვე ვყავდით გაფრთხილებული და ჩვენი კოლექციის მთავარი ქურქი შეიძინა, ნუტრიის, სულ შავი, რაც ძალიან იშვიათია. დიდი ფულიც გადაიხადა და შემდეგ უკვე მზადება დავიწყეთ. ჩემმა საცოლემ ცალკე ნომერი იქირავე, მე სასიმამროსთან ერთად ვცხოვრობდი, მას ვერ ვხედავდით, ამ საქმით ვიყავით დაკავებული და საღამოს რომ მოვიდა, ძალიან გამიკვირდა. ასეთი გამოხტომები მოსკოვშიც ჰქონდა, მიჩვეულები ვართ. სხვას ვერაფერს გეტყვით, არც ის ვიცი, აქ ნაცნობები ჰყავდა თუ არა, მაგრამ თბილისში მეორედ არის, ზუსტად ვიცით. ადრე ორი წლის წინ ვიყავით, მაშინ ერთი კვირა დავრჩით და დავისვენეთ“, – განაცხადა ბიჭმა.

გამომძიებლები გოგოს ნომერში წავიდნენ და... იატაკზე შავი ქურქი აღმოაჩინეს. სწორედ ის, რომელზეც ასე გატაცებით საუბრობდა სომეხი დამხმარე. ქურქი, რაღა თქმა უნდა, ამოიცნეს, დაადასტურეს, რომ მათი კოლექციის ყველაზე ღირებული ნაწილი იყო. ქურქი ექსპერტიზაზე წაიღეს და დაასკვნეს, რომ ზედ ამ ქურქზე, გოგონას უცნობ მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა. პირველ რიგში, სინჯი სომეხს აუღეს, ის კი უარობდა, რას ამბობთ, რა სექსუალური ურთერთობა, სასიმამროს გვერდით მეძინაო, მაგრამ მაინც შეამოწმეს. სასტუმროს პერსონალმაც თქვა, ეს არ იყო, სხვა, ქართველი ბიჭი გახლდათ სტუმრად მოსულიო და... იმ ბიჭის პოვნაც არ იყო რთული, რადგან ადგილობრივი „ცეხავიკის“ ვაჟი გახლდათ. მისმა დაკითხვამ ბევრი დრო არ წაიღო.

„ეს გოგო პირველად ორი წლის წინ ვნახე შემთხვევით, გადავირიე, ისეთი თავისუფალი და მარტივი იყო ურთიერთობებში. სამი დღე ერთად გავატარეთ, მერე წავიდა. ახლა, რომ მოდიოდა, დამირეკა და მითხრა, თუ გინდა შევხვდეთ, ქურქი უნდა მიყიდოო. რა თქმა უნდა, ვუყიდე და იმ ქურქზე გვქონდა ის, რაც ქალს და მამაკაცს აქვთ ხოლმე. მერე აღარ მინახავს, ველოდი, დარეკავდა, არ დაურეკავს“, -განაცხადა ბიჭმა და რაც მთავარია, მკვლელობის დროისათვის მას უმყარესი ალიბი ჰქონდა – მეგობრებთან ერთად, წყნეთში მწვადს წვავდა და გიტარაზე მღეროდა.

მოსკოველი კოლეგების დახმარებით, მალე ისიც გაირკვა, რომ გოგონა ბეწვეულის მოხმარებას მხოლოდ იმიტომ აპროტესტებდა, რომ ჯგუფში, სადაც ამის წინააღმდეგები იყვნენ, ახალგაზრდა ბიჭი მოსწონდა. ისიც გაირკვა, რომ ქორწილი სამი თვის შემდეგ არ იქნებოდა, გოგო სომეხ კავალერს ვერ იტანდა და იმის მიუხედავად, რომ მამა აძალებდა, ცოლად გაყოლას არ აპირებდა. აი, ახლადმიღებული ბინა მართლა მის სახელზე გადაფორმდა და იქ... იმ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც „მეამბოხეთა“ ჯგუფში გაიცნო. ყველაფერი ეს ძალიან უცნაური ჩანდა, რადგან ბინის სხვაზე გადაფორმება და თან იმის პერსპექტივით, რომ შესაძლებელი იყო, ის გოგო ცოლად სულაც არ გაჰყოლოდა... სომეხი ბიჭი ახლიდან დაკითხეს, მაგრამ ახალი ვერაფერი გაიგეს. მეტიც, ის სასიმამროს არ შორდებოდა და... მოსკოვის მიერ მიცემული სამდღიანი ვადა თვალს და ხელს შუა ილეოდა.

ამ დროს, გამომძებლებს ექსპერტიზის დასკვნაც წამეწიათ. დანას ცოტა უხეში ტარი ჰქონდა და მასზე მკვლელის კანის ნაწილაკები შერჩა ანუ არ შერჩა ანაბეჭდი, რადგან ის მკვლელმა გაწმინდა, მაგრამ კანის ნაწილაკები ტარიდან ვერ მოაშორა. ამიტომ, საჭირო იყო ნებისმიერი ეჭვმიტანილის შემოწმება და მკვლელსაც იპოვიდნენ. სამართალდამცავებმა ექსპერტიზაზე, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობით, ყველა მირეკეს და, მათ შორის, გარდაცვლილი გოგონას მამაც. ისიც გაითვალისწინეს, რომ მკვლელი აღნიშნული პროცედურის შემდეგ შესაძლებელი იყო გაქცეულიყო, ამიტომ, ყველა წინასწარი დაკავების იზოლატორში გამოკეტეს, ოღონდ, კომპორტულში – შს სამინისტროს შენობაში.

დრო უსაშველოდ გაიწელა და დასკვნებიც ერთი-მეორის მიყოლებით წამოვიდა. გამომძიებლები დაძაბულები ელოდნენ შედეგებს, რადგან მათ სხვა გზა არ ჰქონდათ და სხვა ძაფის ბოლოც არ ჩანდა, მას რომ გაყოლოდნენ. ამიტომ, როცა ერთ-ერთ დასკვნაში 100%-იან დამთხვევას მოჰკრეს თვალი, შვებით ამოისუნთქეს და ბორკილები... სომეხ ბიჭს დაადეს. დაკავებული მიხვდა, რომ თავს ვეღარ დაიძვრენდა, დანის ტარზე მისი კანის ნაწილაკები იყო და რაც მთავარია, მან სამართალდამცავებს პირველი დაკითხვისას უკვე უთხრა, ამ დანას პირველად ვხედავ, არ ვიცი ვისიაო.

„სასიმამრო მენდობოდა, მაგრამ მისი სიტყვები, ჩემი სიძე უნდა გახდეო, არაფერს ნიშნავდა. ეს იმიტომ, რომ კაცი თავისი შვილის სურვილის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა, გოგო კი ზედ არ მიყურებდა, მეუბნებოდა, მეზიზღები და შენი ცოლი არასოდეს გავხდებიო. მაშინაც კი, როცა ვითომ მამამისი მის მეთვალყურედ კლუბში მიშვებდა, მხოლოდ იმას ვუყურებდი, როგორ ხვდებოდა სხვა ბიჭებს, როგორ კოცნიდა მათ, როგორ რჩებოდა მათთან. ამიტომ, გადავწყვიტე, სანამ სასიმამროს ნდობა მქონდა, ბევრი ფული მეშოვა და ქარხნიდან რაღაცების გატანა დავიწყე. სწორედ ამ ფულით ვიყიდე ბინა და როცა მეგონა, რომ ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, სწორედ მაშინ გაიგო გოგომ ყველაფერი და მითხრა, თუ გინდა, მამაჩემთან არ გაგიბაზრო და ისევ გააგრძელო საქმიანობა, ბინა გადმომიფორმეო. რა უნდა მექნა, გადავუფორმე, მაგრამ რასაც ვშოულობდი, იმას ქეშად მთხოვდა, უფრო სწორად, ნახევარს. მივხვდი, რომ გამომიჭირა და თავიდან უნდა მომეშორებინა. თბილისის ვარიანტიც კარგად ჩავარდა და ჯერ სასტუმროში დავაპირე მოკვლა, საავარიო შესასვლელით შემოვიპარე, მაგრამ ნომერში რომ ავედი, ვიღაც ბიჭთან ერთად ბეწვეულზე გორაობდა. მერე საერთოდ დავკარგე და შემთხვევით წვეულებაზე მოვიდა. უკან ჩუმად გავყევი, რომ დამინახა, ყურადღება არ მომაქცია და ამით ვისარგებლე“, – დაასრულა მოყოლა ბიჭმა.

ის ქართულმა სასამართლომ გაასამართლა და 15 წელიც მიუსაჯა, შემდეგ უკვე სომხურმა მხარემ იწვალა და სასჯელის მოხდის გაგრძელება ისტორიულ სამშობლოში გააგრძელა. ამბობენ, თავისუფლებაზე გამოვიდა, სომხური დიასპორა ყველგან პატრონობდა, მოკვლა არ დაანებესო, მაგრამ იმასაც ამბობენ, სომხეთში სწორედ იმიტომ წაიყვანეს, ქართულმა მხარემ მკვლელობაზე ხელი არ მოაწერაო.

ბათო ჯაფარიძე

ამას წინათ, უბედური შემთხვევა მოხდა და ხელისუფლებამ პარაპლანით ფრენა შეაჩერა, სპეციალური ლიცენზიები მოითხოვა. არადა, ეს სფერო მართლა ისე იყო მიშვებული, ვისაც უნდოდა ეფრინა, დაფრინავდა, ოღონდ, ყოველგვარი ლიცენზიისა და დაზღვევის გარეშე. ერთხელ გაუმართლა ვიღაცებს, მეორედ, მესამედ... შემდეგ კი იყო ხეობაში ჩავარდნილი ადამიანი და მის საშველად წასული ვერტმფრენი, რომლის ბორტზეც ექვსი ადამიანი იმყოფებოდა. ვერტმფრენი ხეობაში აფეთქდა და... მანამდე, წლებით ადრე, იყო ბაგებში არსებული ხიდი და იქიდან ახალგაზრდების ხტომა, რასაც, ასევე, უბედური შემთხვევა მოჰყვა – თოკით შეყვარებულები გადაეშვნენ და არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც იტყოდა, რომ თოკი ორ ადამიანს ვერ გაუძლებდა. შედეგად, დაშვებისას, ბაგირი გაწყდა...

როგორ ჩაიგდო ხელში სამმა ქართველმა ბიჭმა ძვირადღირებული ალმასები

უბედური შემთხვევა, რომელმაც სამართალდამცავები დიდი დანაშაულის კვალზე გაიყვანა

„როცა ბაგებში მოხდა ეგ შემთხვევა, მაშინ კიდევ ერთხელ გამახსენდა ეს საქმე. თბილისთან ახლოს, მთიდან, ორი ახალგაზრდა გადმოხტა, პარაშუტები უნდა გაეხსნათ, მაგრამ მხოლოდ გოგონას პარაშუტი გაიხსნა. ის შეეცადა, ბიჭი დაეჭირა, ხელი მოკიდა კიდეც, მაგრამ პარაშუტმა ვეღარ გაუძლო ორ სიმძიმეს და გოგო-ბიჭი ხრამში ჩაიჩეხა. ადგილამდე წვალებით, ორი საათის შემდეგ ჩავიდნენ მაშველები და ჰოი, საოცრებავ, გოგო ცოცხალი იყო, ბიჭს დაეცა ზემოდან, მაგრამ ისე, რომ ბიჭს ნეკნს, გოგონას ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული და გამოჯანმრთელების შემთხვევაშიც კი, ის ეტლიდან ვერ ადგებოდა. ასე იყო თუ ისე, ყველაფერი უბედურ შემთხვევად უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ სამი დღის შემდეგ, როცა გოგონამ საუბარი შეძლო, სამართალდამცავებთან შეხვედრა ითხოვა და ორი რამ თქვა – „პარაშუტი ცუდად იყო დაკეცილი და იმიტომ არ გაიშალა. პარაშუტებს ყოველთვის ერთი და იგივე ადამიანი კეცავდა და დაკითხეთ ის ადამიანი. მე კი, გადმოხტომის წინ, ბიჭმა ხელზე ბრილიანტის ბეჭედი გამიკეთა, დაუმუშავებელი ალმასი, სწორედ ეს არის მისი უკანასკნელი სახსოვარი და ბეჭედი მიპოვეთ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა სასწრაფო წესით დაკითხეს მაშველები და ყველამ გაიხსენა, რომ გოგონას ხელზე მართლაც ეკეთა ბეჭედი, რომელსაც უცნაური ფორმის, საკმაოდ მოზრდილი ქვა ჰქონდა, თუმცა ის ყურადღებას მხოლოდ სიდიდის გამო იქცევდა, არ ეტყობოდა, რომ ძვირფასი იყო და აკი, გოგონამაც თქვა, დაუმუშავებელი ალმასი გახლდათო. გამოდიოდა, ბეჭედი საავადმყოფოში მიმავალ გზაზე დაიკარგა და სასწრაფო წესით, თვალთვალი მორიგე ექიმსა და იმ მძღოლს დაუწყეს, რომლებმაც გოგონა გადაიყვანეს. შედეგმა არ დააყოვნა, მძღოლი მეორე დღესვე ერთ-ერთ ოქრომჭედელთან გაქანდა, ქვა შეამოწმებინა და როცა გაიგო, რომ ხელში ალმასი ჰქონდა, სიხარულით ცას ეწია, თუმცა სიხარული ოქრომჭედლის კართან დასრულდა – ძალოვნებმა ბორკილები დაადეს. დაკითხვაზე მან აღიარა, რომ ცდუნებას ვერ გაუძლო და ბეჭედი ამიტომ მოიპარა.

ახლა მთავარი ის იყო, დაედგინათ, საიდან ჩაუვარდა ბიჭს დაუმუშავებელი ალმასი. საბჭოთა კავშირში ძვირფასი ქვების მოძრაობა მკაცრად კონტროლდებოდა და რაც მთავარია, ყველაფერი სახელმწიფოს კუთვნილება იყო. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა კარიერი რუსეთში, სადაც ეს ალმასი იყო მოპოვებული და დადგინდა ისიც, რომ ექვს თვეში ერთხელ, ამ საბადოს დირექტორი თბილისში ჩამოდიოდა და... ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ მამაკაცი მოსკოვიდან მატარებლით სტუმრობდა საქართველოს დედაქალაქს და ეს მაშინ, როცა ფრენა ბევრად მარტივი და კომფორტული იყო. ვინმეს რომ ეთქვა, ალმასების საბადოს დირექტორს თვითმფრინავის ბილეთის ფული არ აქვსო, სასაცილოც კი არ იქნებოდა. საქმეში რუსი კოლეგებიც ჩაერთნენ, რადგან დაახლოებით, ერთ თვეში, დირექტორს ჩამოსვლა უწევდა და შესაბამისი დახვედრა უნდა მოეწყოთ. მით უმეტეს, რომ ის საქართველოში ორ დღეზე მეტხანს არასდროს ჩერდებოდა, უკან ისევ მატარებლით ბრუნდებოდა და ერთსა და იმავე სასტუმროში, ერთსა და იმავე ნომერს ქირაობდა.

მანამდე კი, გამოძიებას ის ახალგაზრდა ჰყავდა დასაკითხი, რომელმაც პარაშუტები ჩაალაგა. დაიკითხა კიდეც და როგორც კი მან გოგონას ამბავი გაიგო, თმა დაიგლიჯა, ასე არ უნდა მომხდარიყოო. თავიდან კი აღიარა, ყველაფერი რიგზე გახლდათო, მაგრამ როცა დაიჯერა, რომ გოგო ვერასდროს გაივლიდა, გამომძიებლებს მაჯები გაუწოდა, დამაკავეთ, ჩემი ბრალიაო.

„ის გოგო წლები მიყვარდა, წლები. მასაც ვუყვარდი, შემდეგ კი ეს გამოჩნდა და ყველაფერი თავდაყირა დადგა. არ ველოდი, თუ მიმატოვებდა, მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად განვითარდა, რომ ქორწილზე ალაპარაკდნენ, შემდეგ კი ბიჭმა ალმასის ბეჭედიც მაჩვენა, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, ქალი დავკარგე. ამიტომ, როცა პარაშუტზე მომაკითხეს, ბიჭის ჩანთაში პარაშუტი არასწორად ჩავდე, არ უნდა გაშლილიყო. რას ვიფიქრებდი, რომ გოგონა ჩაეჭიდებოდა და ხელს არ გაუშვებდა“, -ტირილით ყვებოდა დაკავებული და მას ბრალი განზრახ მკვლელობაში წაუყენეს. მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად არ იცოდა, საიდან უნდა გადმომხტარიყო წყვილი, შეეძლო, ხტომის შემდეგ გარდაუვალი სიკვდილი განესაზღვრა. რაც შეეხება ალმასის ბეჭედს, მან არაფერი იცოდა. ერთადერთი გამოსავალი საბადოს დირექტორის დაკავება იყო და ეს დროც მოახლოვდა.

საბადოს დირექტორი ორ მხლებელთან ერთად ჩამოვიდა. აშკარად ნავარჯიშები ბიჭები არაოფიციალურად პირადი დაცვის როლს ასრულებდნენ. დირექტორი სასტუმროში დაბინავდა, საღამოს კი სასტუმროს კარი, ძალოვნებისთვის კარგად ნაცნობმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა შეაღო. მასაც ორი ბიჭი ახლდა და ორივეს მცირე ზომის ჩანთა მიჰქონდა. სამართალდამცავებმა ივარაუდეს, რომ ერთ-ერთ ჩანთაში, შესაძლოა, იარაღი ყოფილიყო და ამიტომ, დამატებითი ძალები გამოიძახეს. სპეცრაზმი სასტუმროს ნომერში მაშინ შევარდა, როცა კრიმინალის თანმხლები პირები დაუმუშავებელ ალმასებს წონიდნენ, დირექტორის გარემოცვა კი ფულს ითვლიდა. ყველა ერთად განყოფილებაში წაიყვანეს და გამომძიებელმა დაკითხვაზე პირველი კრიმინალური ავტორიტეტი შეიყვანა.

„შეიძლება გაგიკვირდეთ, ყველაზე რთული პერსონით რატომ დავიწყე, მაგრამ მას კარგად ვიცნობდი და ზუსტად ვიცოდი, ხმის ამომღები არ იყო. ამიტომაც, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში, მივხვდი, მისგან ვერაფერს გავიგებდი და მაგიდასთან დირექტორი დავსვი. არადა, მის წასაყვანად მოსკოვიდან უშიშროების თანამშრომლები უკვე მოფრინავდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

დაკავებული მიხვდა, რომ კარგი დღე არ ელოდა და რაც მეტს ილაპარაკებდა, მით მეტად ჰქონდა გადარჩენისა და სასიკვდილო განაჩენისგან თავის დაძვრენის შანსი.

„რად გინდათ ჩემი მოყოლა, ისედაც ხომ ყველაფერს ხვდებით? ცოტ-ცოტას ვიპარავდი, აქ ჩამომქონდა და ვყიდდი. დედას გეფიცებით, ეს ბოლო პარტია იყო, მეტს აღარ ვაპირებდი“, – ლუღლუღებდა დირექტორი და როცა აუხსნეს, რომ „ცოტ-ცოტა“, თუნდაც ამ ბოლო ჯერზე, 150 ათასი მანეთი იყო, თავი ჩაღუნა. ქართველ გამომძიებლებს უშიშროების მოსვლამდე საკუთარი ამბავი უნდა გაერკვიათ. დირექტორს წინ ბეჭედი დაუდეს და ჰკითხეს, ეცნობოდა თუ არა ქვა?

„კი, ჩემია, ვიცი, რომელი პარტიიდანაც არის. ორი წლის წინ, მატარებელში დაგვაყაჩაღეს მე და ჩემი თანმხლები. კაცი ამის მერე დავიმატე. თავდამსხმელები სამნი იყვნენ, გვაჯობეს. თავად მოგეხსენებათ, დანაშაულის შესახებ ვერ ვიტყოდი, ჩემი გზებით დავძებნე, რადგან ყველაფერი ეს საქართველოში მოხდა, ის კაცი, დღეს რომ ჩემთან ერთად დაიჭირეთ, შევაწუხე, მაგრამ ვერავინ ვიპოვეთ. იმ პარტიაში იყო ეს ქვა და მე თუ მკითხავთ, ბეჭედი იუველირის გაკეთებული არ არის, ქვას რომ შევეშვათ, თავად რგოლსაც ძალიან ბევრი ხარვეზი აქვს“, – განაცხადა დირექტორმა.

გამომძიებლებმა გარდაცვლილი ბიჭის გარემოცვის შესწავლა დაიწყეს და მხოლოდ ერთ საეჭვო პირს მიაგნეს. იმის მიუხედავად, რომ ორი წლის შემდეგაც კი, მას დიდი ფულის შოვნის არაფერი ეტყობოდა, თვალთვალი მაინც დაუწყეს და თან მეგობრებში ხმა გაავრცელეს, რომ სამართალდამცავები რაღაც ალმასებს ეძებდნენ. ამან იმუშავა – ერთ დღეს, ეჭვმიტანილი ავტოფარეხში შევიდა, იქ კარგა ხანს თხარა და ანგრია რაღაცები, მერე კი მცირე ტომარა გამოიტანა და როცა მანქანით წასვლას აპირებდა, ხელები მაშინ ამოუგრიხეს. ჩანთაში დაუმუშავებელი ალმასები ეყარა.

„სამნი ვიყავით, შარშან ის მესამე ავარიაში მოკვდა, მოტოციკლით დაიმტვრა. მე და ეს დავრჩით, ახლა რომ დაიღუპა. პირობა გვქონდა ნათქვამი, რომ რაც უნდა მომხდარიყო, სამი წლის განმავლობაში ქონება არ გამოგვეჩინა, მერე კი ფრთხილად დაგვეწყო ხარჯვა. იქეთ ამხელა საბადოს დირექტორი გვეძებდა, აქეთ – ცნობილი კრიმინალი. ამიტომ, არავის არაფერს ვუმხელდით. როცა მეორე მეგობარიც დაიღუპა, ამოვისუნთქე, საიდუმლოს არავინ გასცემდა, მაგრამ მერე ბეჭდის ამბავი გავიგე და ავნერვიულდი. მოკლედ, სულ ეს არის, იმათ სად აქვთ თავისი წილი, არ ვიცი“, – თქვა დაკავებულმა.

სამართალდამცავებმა ერთი წლის წინ გარდაცვლილი ბიჭის ფარეხი აგურ-აგურ დაშალეს და გადამალული ალმასები იპოვეს, პარაშუტით გარდაცვლილს კი, როგორც ჩანს, უკეთესი სამალავი ჰქონდა და მის ქონებას ვერ მიაგნეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, თელავის სკოლებში მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, რეგიონების სკოლებში შეხვედრები გრძელდება. ქვემო ქართლის შემდეგ, სამინისტროს წარმომადგენლებმა მოსწავლეებთან შეხვედრები გამართეს კახეთში, თელავის ოთხ სხვადასხვა საჯარო სკოლაში: მეფე ერეკლე II-ის სახელობის პირველ, მერაბ კოსტავას სახელობის მეოთხე, ასევე, მეშვიდე და მეცხრე საჯარო სკოლებში.

საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრების მიზანია, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება ბავშვებსა და მოზარდებში.

შეხვედრებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა ბავშვებს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის საქმიანობის ამსახველი ვიდეორგოლები წარუდგინეს. საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოზარდებს ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ბავშვთა უფლებების, ნაადრევი ქორწინების და მისი ზიანის, ბულინგის, ძალადობისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ.

შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სამართალდამცველებმა მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხეს.

სკოლებში შეხვედრების პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, რეგიონებში საზოგადოებრივი ღონისძიებები გრძელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში ცეცხლსასროლი იარაღები და დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში ერთი პირი – 1961 წელს დაბადებული დ.კ. დააკავეს.

მას ბრალად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა და ტარება ედება.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს „ბრაუნინგის“ ტიპის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 1 ვაზნა.

პოლიციამ თბილისში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ასევე, ნივთმტკიცებად ამოიღეს: კუსტარული წესით გადაკეთებული პისტოლეტი, გადაჭრილი სანადირო თოფი – ე.წ. „აბრეზი“, საბრძოლო შაშხანა, „ვინჩესტერის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვიამფრქვევის დეტალი, 6 სანადირო თოფი, სხვადასხვა ტიპის 7 ხელყუმბარა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 მჭიდი, 8 ამფეთქი ფალია და 2 დეტონატორი, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 1380 ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და დიდი ოდენობით ქურდობის ბრალდებით ოთხი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ოთხი პირი – 1971 წელს დაბადებული მ.ი., 1984 წელს დაბადებული ლ.ჭ., 1983 წელს დაბადებული მ.გ. და 2002 წელს დაბადებული ს.გ. დააკავეს.

ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, დაკავებულებს კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა და დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობა ედებათ ბრალად.

დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, მოქალაქეების მოტყუების გზით, მათივე მობილური ტელეფონების საშუალებით, უნებართვოდ შეაღწიეს საბანკო ანგარიშებზე, საიდანაც დიდი ოდენობით თანხები საკუთარ ანგარიშებზე გადარიცხეს.

გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ დაზარალებულებისთვის მიყენებულმა ზარალმა 100 000 ლარს გადააჭარბა.

ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის და დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 284-ე მუხლის პირველი ნაწილით და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ქვემო ქართლის პოლიციამ მარნეულის მუნიციპალიტეტში მომხდარი დაჭრის ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული ჰ.ი. დააკავეს.

მას ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება ედება ბრალად.

დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, 1970 წელს დაბადებული ა.ა. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჰ.ი. ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე და სსკ-ის 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

police.ge

ისევ კვარაცხელია და ფეხბურთის მექად ქცეული ნეაპოლი

თითქოს სახალხო დღესასწაული გახდა – დღე, როცა ხვიჩა კვარაცხელია თამაშობს, სხვანაირია. მთელი ერი მოუთმენლად ელის დღეისათვის ყველაზე პოპულარული ქართველი სპორტსმენის გაბრწყინებას და ისიც იმედებს არ გვიცრუებს, თამაშიდან თამაშამდე უმატებს და ქართველ გულშემატკივართან ერთად, იტალიელებსაც აღაფრთოვანებს. ახლა არ დავიწყებთ იმის წერას, რომ სერია A-ს მორიგ ტურში, კვარამ 2 საგოლე გადაცემა შეასრულა და თავადაც ლამაზი გოლი შეაგდო. მოდით, ყველაფერს სხვა კუთხით შევხედოთ.

სეზონის დაწყების წინ, ქართველი თუ უცხოელი ექსპერტები ერთხმად აღნიშნავდნენ, საოცარი შედეგი იქნება, თუ ისეთ რთულ ჩემპიონატში, როგორიც იტალიის სერია A გახლავთ, კვარაცხელია პირველივე სეზონში 5-6 გოლს გაიტანს და თან ძირითადის უცვლელი წევრი თუ ვერ გახდება, სათამაშო პრაქტიკა მაინც არ მოაკლდებაო. დღეის მდგომარეობით კი კვარაცხელიას შედეგი ასეთია – იტალიის ჩემპიონატში 6 გოლი და 5 საგოლე გადაცემა, ჩემპიონთა ლიგაზე – 2 გოლი და 3 საგოლე გადაცემა. ორივე ტურნირზე ერთად, კვარაცხელიამ თანაგუნდელთა შორის, ყველაზე მეტი გაიტანა და ყველაზე მეტი გაატანინა. ეს არ არის საოცარი შედეგი, ეს არის წარმოუდგენელი და ამას თავად კვარაცხელიაც ყველაზე თამამ სიზმარშიც ვერ ნახავდა. ვერ ნახავდა იმიტომ, რომ მას ჯერ ნდობა უნდა მოეპოვებინა, მწვრთნელის ნდობა, მერე გულშემატკივართა მხარდაჭერა, მერე თანაგუნდელთა პატივისცემა. ეს ყველაფერი ერთმანეთს საოცრად კარგად მიეწყო, თუ აეწყო და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – კვარაცხელიას ლეგენდებს ადარებენ და მასზე ლეგენდები აღმატებულ ხარისხში საუბრობენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხვიჩამ „ნაპოლიში“, ბოლოს, 29 ოქტომბერს გაიბრწყინა, როცა დიეგო მარადონას სახელობის სტადიონზე გოლი და ორი საგოლე გადაცემა შეასრულა. მეორე დღეს კი დიეგოს დაბადების დღე იყო – არგენტინელი ლეგენდა 62 წლის გახდა. ჰო, სწორედ რომ გახდა, რადგან ლეგენდები ხომ არ კვდებიან. 1986-87 წლების სეზონში, როცა „ნაპოლი“ არსებობის განმავლობაში პირველად გახდა იტალიის ჩემპიონი, ადგილობრივმა ტიფოზებმა მთავარი სასაფლაოს შესასვლელთან ბანერი გამოფინეს წარწერით – „თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა გამოტოვეთ“. ეს იყო მარადონას და „ნაპოლის“ ზეობის ხანა. არგენტინელმა კლუბს 1989-90 წლებში კიდევ ერთხელ მოაგებინა იტალიის ჩემპიონატი და მერე... მერე წავიდა. რომ ვთქვათ, მარადონა ნეაპოლში ისევ ახსოვთო, ნიშნავს, რომ არაფერი ვთქვათ. დიეგო იქაურების კერპი და ღმერთია, სწორედ მარადონამ აქცია ნეაპოლში ფეხბურთი რელიგიად და მისი მიმდევრები დღემდე, გუნდის ყოველ თამაშზე მიდიან, სტადიონს ავსებენ და 90 წუთის განმავლობაში, ბოლო ხმაზე ყვირიან. ახლა კი... ახლა იქ კვარაცხელიაა, ფეხბურთელი, რომელსაც სულ უფრო ხშირად ადარებენ მარადონას და სჯერათ, რომ როგორც თავის დროზე დიეგომ, ისე ახლა ხვიჩა,

გუნდს აუცილებლად მოუტანს გამარჯვებას. მეტიც, ნეაპოლში უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ დიეგოს გარდაცვალების შემდეგ, კლუბიდან ამოღებული 10-ნომრიანი მაისური ისევ დააბრუნონ და ის... ხვიჩას ჩააცვან, თუმცა საამისოდ, ჯერ „ნაპოლიმ“ იტალიის ჩემპიონატი უნდა მოიგოს, მერე კი...

დასასრულ, ერთი, ძალიან საინტერესო ამბავი. უკვე გახმაურდა, რომ ხოსეპ გვარდიოლა ლიონელ მესისთან პირად მოლაპარაკებებს აწარმოებს და სურს, მომავალი სეზონიდან, „მანჩესტერ სიტიში“ გადაიყვანოს. ერთი შეხედვით, ეს სიგიჟეა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით – თუ არგენტინელი დათანხმდება, მას 5-წლიან კონტრაქტს გაუფორმებენ, ანუ ლეოს 40 წლამდე გარანტირებული კონტრაქტი და რაც მთავარია, ათეულობით მილიონი ხელფასი ექნება. ამ 5 წლიდან – სამს, ის „მანჩესტერ სიტიში“ ითამაშებს, მომდევნო ორს კი ამერიკაში, „სიტის“ არაბი მფლობელების ხელში არსებულ კლუბ „მაიამიში“ გაატარებს. ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყევით, რომ არაერთი ბრიტანული გამოცემა წერს, გვარდიოლას მესის შემდეგ, ყველაზე მეტად კვარაცხელიას გადაბირება უნდაო, რაც იმას ნიშნავს, რომ ხვიჩას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გვერდით, ბურთის გორების შესაძლებლობა ექნება.

„მამელუქები“ – საქართველო ემიგრანტების შვილებს იბრუნებს

ბედმა თუ უბედობამ, საქართველოს ასეულ ათასობით მოქალაქე, ლუკმა-პურის საშოვნელად საზღვარგარეთ წაიყვანა. ქართველები, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში წავიდნენ საცხოვრებლად თუ სამუშაოდ და რა გასაკვირია, რომ იქ ოჯახებიც შექმნეს, ან პირდაპირ, აქედან აიყარა ოჯახი და შვილები იქ გაჩნდნენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საზღვარგარეთ დაბადებულ ქართველ ბავშვებს სანთლით ეძებს და ცდილობს, ისინი სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ათამაშოს, მერე კი არც ეროვნული გუნდია შორს.

გასულ კვირას, საქართველოს 16 და 17-წლამდელთა გუნდების შეკრება გაიმართა. ვგონებთ, პირველად მოხდა, რომ ორივე გუნდში ამ ოდენობის ემიგრანტი მოგროვდა. მაშ ასე: 16-წლამდელთა ნაკრებში ჩამოვიდნენ – ალექსანდრე ქუთათელაძე („მონაკო“, საფრანგეთი), ცოტნე ხორნაული („ლიერსი“, ბელგია), ნინო გოცირიძე („ბურგ-ან-ბრეს პერონას“, საფრანგეთი), გიორგი გონსალეს-ჩუბინიძე („ბორნმუთი“, ინგლისი), გიორგი ბედიანაშვილი (ტიროლის აკადემია, ავსტრია), მათე-გიორგი ტატიშვილი („დოიჩ 05“, გერმანია), ნიკა შათირიშვილი („კიოლნი“, გერმანია), დავით ნიკაჭაძე („გეპ აკადემია“, ინგლისი).

17-წლამდელთა ნაკრები – გიგი გოგია („ფლიტვუდ თაუნი“, ინგლისი) და თორნიკე მინდიაშვილი („ჰორტა“, ესპანეთი).

ეს ბიჭები, ძალიან მალე, პროფესიონალები გახდებიან და იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული საფეხბურთო სკოლა აქვთ გავლილი, წესით, დისციპლინაზე აგებული ფეხბურთი უნდა ითამაშონ.

„დავაი, ნიკოლოზ!“ არ გამოვიდა

გასულ უქმეებზე, ვენის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ქართველი ჩოგბურთელი, ნიკოლოზ ბასილაშვილი, საქართველოში მოგებული სასამართლოს შემდეგ, პირველ ტურნირზე გაემგზავრა და წილისყრაში აშკარად არ გაუმართლა – პირველივე წრეში მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს, დანილ მედვედევს შეხვდა. სხვათა შორის, შარშან, ვენის ტურნირზე მყოფ ბასილაშვილს კორტზე დადგმული ეკრანიდან ქართულად ამხნევებდნენ და შესვენებების დროს წერდნენ – „მიდი, ნიკოლოზ!“.

ვერ გეტყვით, ამჯერად, თარჯიმანი შეცვალეს თუ სხვა ვერაფერი მოიფიქრეს, მაგრამ ბასილაშვილის გასამხნევებლად, ეკრანზე ქართული ასოებით გამოისახა – „დავაი, ნიკოლოზ!“ ქართველმა ჩოგბურთელმა წარწერა დროზე შენიშნა, სკამიდან წამოდგა და ეკრანს პირსახოცი გადააფარა. ამის გაკეთება უფრო მარტივი და ეფექტიანი იყო, ვიდრე ორგანიზატორებისთვის იმის ახსნა, რომ ქართულად რუსული სიტყვა იყო დაწერილი და შესასწორებელი გახლდათ.

მამარდაშვილი „რეალს“ დაეჯახა

ხვიჩა კვარაცხელიას საოცარი თამაშის ფონზე, გიორგი მამარდაშვილი ცოტა „დაგვეჩაგრა“. არადა, ქართველი მეკარე „ვალენსიას“ ძირითადი კიპერია და მისით დაინტერესებას არაერთი ევროპული გრანდი გამოთქვამს. სიის სათავეში „იუვენტუსია“. ტურინული კლუბი ქართველს აკვირდება და ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ზაფხულში მისი გადაბირება სცადოს. იტალიური მედია იმასაც წერს, მამარდაშვილის კონტრაქტში, გამოსასყიდ თანხად 100 მილიონი კი წერია, მაგრამ „იუვე“ მის შეძენას 70 მილიონად შეეცდება და თუ მოისურვებს, მოახერხებს კიდეცო.

მანამდე კი... ესპანეთში სუპერთასის გათამაშების ფორმატი შეცვალეს. იქ მონაწილეობას მოქმედი ჩემპიონი, ვიცე-ჩემპიონი და თასის ფინალისტები იღებენ. შედეგად, მატჩებში, რომელსაც საუდის არაბეთის ქალაქი ჯიდა უმასპინძლებს, ოთხი გუნდი იასპარეზებს – „რეალი“, „ბარსელონა“, „ვალენსია“ და „ბეტისი“. ნახევარფინალების წილისყრა გასულ კვირას გაიმართა და მამარდაშვილის გუნდს მეტოქედ „რეალი“ ერგო. ჯიდაში პირველი შეხვედრები მომავალი წლის 10 იანვარს გაიმართება და ვინ იცის, ეგებ, გიორგის გუნდმა სასწაული მოახდინოს და „რეალის“ ბარიერს გასცდეს, მერე კი ფინალი და კიდევ ერთი სასწაულის იმედი უნდა გვქონდეს – საეჭვოა, „ბარსელონამ“ „ბეტისის“ დამარცხება ვერ მოახერხოს.

ფიფა მუნდიალიდან ტუნისის მოკვეთას აპირებს?

20 ნოემბრიდან, 18 დეკემბრის ჩათვლით, ყატარი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებს. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს ევროპული ჩემპიონატები თუ ჩემპიონთა ლიგა შემჭიდროვებულ ვადებში და ლამის ყოველ კვირას, თითო გუნდის მონაწილეობით, 3-3 შეხვედრის ყურება გვიწევს. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იტალია ვერ გავიდა, იტალიელები დღემდე ცდილობენ, ფიფას მუნდიალიდან ირანის ნაკრები მოაკვეთინონ და იქ თავად გაემგზავრონ. ირანელებს კი ბრალს რუსეთთან ფარულ დახმარება-გარიგებაში სდებენ, რაც შეეხება იტლიის შესაძლო გამგზავრებას, აპენინელები მსოფლიო რეიტინგში, ჩემპიონატზე ვერმოხვედრილი ნაკრებებიდან, ყველაზე მაღლა დგანან. ჰოდა, ფიფამ... ირანს არა, მაგრამ, შესაძლოა ტუნისის მოკვეთაზე ვიმსჯელოთო.

საქმე ის გახლავთ, რომ ფიფა ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას კბილებით იცავს ანუ ეს არის სახელმწიფო – სახელმწიფოში და თუ ქვეყნის მთავრობა ფედერაციის შიდა საქმეებში ერევა, სანქციები გარდაუვალია. ჰოდა, თურმე, სწორედ ეს ხდება ახლა ტუნისში და ფეხბურთის ადგილობრივი ფედერაცია შველას ითხოვს. ფიფამაც მკაცრად გადაწყვიტა, ან ზეწოლა შეწყდება, ან ტუნისი მსოფლიოზე ვერ ითამაშებს.

და მაინც – მსოფლიოს ჩემპიონატიდან ირანის მოკვეთას უკვე ირანელი ქალებიც ითხოვენ და ამბობენ, რომ მოძალადე მამაკაცებს მუნდიალზე არაფერი ესაქმებათ.

რომან დოლიძემ მეტოქე პირველივე რაუნდში „მოკლა“

ქართველმა მებრძოლმა რომან დოლიძემ, ლას ვეგასში, UFC-ის ეგიდით გამართულ შეხვედრაში, ამერიკელი ფილ ჰოუსი დაამარცხა. შეხვედრა დაძაბული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რომანმა პირველივე რაუნდში მეტოქეს ფეხი დაუზიანა, მას დგომა უჭირდა და ქართველმა მებრძოლმა ზედიზედ ძლიერი დარტყმები განახორციელა, რასაც ჰოუსმა ვერ გაუძლო და რინგზე უგონოდ დაეცა. მსაჯმა ბრძლა შეწყვიტა.

ეს დოლიძესთვის UFC-ში გამართული მეექვსე ბრძოლაა, საიდანაც 34 წლის ქართველმა 5 მოიგო და ამ გამარჯვებით, რეიტინგშიც აუცილებლად დაწინაურდება.

როგორ აღვზარდოთ აგრესიული ჯიშის ძაღლი და რატომ უნდა აიკრძალოს ძაღლების უკონტროლო გაყიდვა

ია გრიგალაშვილი

ინტერვიუ ძაღლების ქცევის სპეციალისტთან

მართალია, ადამიანის მეგობარია, მაგრამ ძაღლს ინდივიდუალური აღზრდა და მოვლა-პატრონობა სჭირდება. სამწუხაროდ, საქართველოში, ამ მიმართულებით საკმაოდ რთული ვითარებაა. უპატრონო ცხოველების პრობლემას რომ თავი დავანებოთ, ბევრი ჯიშიანი ძაღლიც კი არასწორ პირობებში იზრდება, რაც აგრესიულობას განაპირობებს. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პიტბულის ჯიშის ძაღლმა ადამიანი დაკბინა. კერძოდ, პირველი შემთხვევისას, ვარკეთილში სამ ადამიანს, პატრონის ჩათვლით დაესხა თავს, მეორე შემთხვევაში, იმავე ჯიშის ძაღლმა, რუსთავში ოთხი ადამიანი დაგლიჯა. მომხდარს დიდი გამოხმარება მოჰყვა და აზრი ორად გაიყო, ზოგი ფიქრობს, რომ პიტბული და მსგავსი ჯიშის ძაღლები ძალიან საშიშები არიან, ზოგის აზრით კი, ცხოველებს, უბრალოდ, სწორი აღზრდა სჭირდება.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ცნობით, მიმდინარეობს კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც აგრესიული ჯიშის ძაღლების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, გამრავლებისა და უსაფრთხოების საკითხებს დაარეგულირებს. ასევე, მსჯელობენ იმაზეც, რომ ევროპის ქვეყნების მსგავსად, საქართველოში კონკრეტული ჯიშის ძაღლების გამრავლება აიკრძალოს.

რაც შეეხება ამერიკულ პიტბულტერიერს, ის გამოყვანილია აშშ-ში, XIX საუკუნეში. ამ სახეობის ძაღლის მხოლოდ ხსენებაც კი, ზოგ ადამიანში შიშს იწვევს. შვეიცარიასა და ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთ რეგიონში, პიტბული აკრძალულია. დიდ ბრიტანეთში აუცილებელია მისი ალიკაპით ტარება და მიკროჩიპის იმპლანტაცია. პიტბული წარსულში მებრძოლი ჯიში იყო, დღეს კი ზოგიერთი პატრონი გაწვრთნის უხეშ ფორმებს მიმართავს, რის შედეგადაც, ძაღლი ნებისმიერ მომენტში მზადაა, ეცეს სხვა ცხოველს და ადამიანსაც. პიტბულტერიერის უმრავლესობა (თუ პატარაობიდან მიაჩვევთ პატრონის ბრძანების შესრულებას) ალერსიანი და გულღია შინაური ცხოველია.

გამოირჩევა თუ არა, სინამდვილეში, პიტბული სხვა ჯიშის ძაღლებისგან აგრესიით, რა უნდა გავითვალისწინოთ მისი პატრონობისას და როგორ უნდა დაარეგულიროს კანონმა აღნიშული საკითხი? – „ვერსია“ „ძია ნოდარის ძაღლების ქცევის ცენტრის“ სპეციალისტ ნინიშა ჩლაიძეს ესაუბრა.

– ნინიშა, გამოირჩევა თუ არა პიტბული სხვა ჯიშის ძაღლებისგან აგრესიით და რა უნდა გავითვალისწინოთ მისი აღზრდისას?

– ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია გენეტიკური კოდი, აგრესია, გარკვეულწილად, ძაღლს გენეტიკურად გადაეცემა. ზოგიერთ ქვეყანაში, თუ ძაღლი გენეტიკური კოდითაა აგრესიული, მისი გამრავლება აკრძალულია, თუმცა გამძაფრებული აგრესია, შეიძლება, ნებისმიერი ჯიშის ძაღლს ჰქონდეს და მისი მართვა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია სწორი აზღრდისა და მიდგომის შემთხვევაში. სწორი აღზრდა კი ნებისმიერს სჭირდება, მაგრამ ისეთ ძაღლებთან, რომლებიც შეიძლება მაღალი „აგრესიის კოდის“ მატარებლები იყვნენ, უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. მაგალითად, როგორი ჯიშებიცაა პიტბული, როტვეილერი, დობერმანი, კანე კორსო და ა.შ.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ შეჯვარებას, ჩვენთან იმდენად არეულია ყველაფერი, რომ და-ძმასა და დედა-შვილს აჯვარებენ, თან აჯვარებენ ყოველ ექვს თვეში და ძაღლი ვერ ასწრებს რეაბილიტაციას, ეს იწვევს აგრესიას, რომლის მართვაც რთულია.

– ანუ, ასეთ ძაღლებთან თანაცხოვრება შესაძლებელია, თუ სწორად აღვზრდით?

– დიახ, მსგავსი ჯიშის ძაღლებთან ჩვეულებრივ შესაძლებელია თანაცხოვრება, თუ ეყოლებათ ნორმალური, ადეკვატური პატრონი. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია შეწყდეს მათი უკონტროლო გამრავლება. ვნახეთ, რაც ხდება საქართველოში ამ მიმართულებით, ქუჩაში გაგდებული უმარავი ჰასკი და მონადირე ჯიშის ძაღლი ვიხილეთ. არ გვაქვს კანონი, რომ ძაღლები მხოლოდ ლიცენზირებულ ძაღლსაშენში იყიდებოდეს. ლეკვში რომ გადაიხდით სოლიდურ თანხას, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებით.

– როგორ უნდა დაარეგულიროს სახელმწიფომ აღნიშნული საკითხი?

– უნდა გაკეთდეს ლიცენზირებული ძაღლსაშენები. როდესაც ადამიანს ძაღლის აყვანის სურვილი აქვს, მასთან პირადი ინტერვიუც კი საჭიროა, შემდეგ კი აღრიცხვაზე უნდა იყოს აყვანილი ეს ხალხი. ასეთ შემთხვევაში, აიღებენ სრულ პასუხისმგებლობას მოვლა-პატრონობასა და წვრთნაზე.

საქართველოში საქმე გვაქვს უპასუხისმგებლო პატრონებთან, რომლებსაც ესა თუ ის ჯიშის ძაღლი აჰყავთ „მეტიჩრობისთვის“ და სამწუხაროდ, დღემდე ჩუმად აჩხუბებენ. მგონია, არარელიზებული ხალხის კომპლექსია ძაღლის მეშვეობით თვითდამკვიდრება და ეს საშინელებაა. არა მარტო პიტბულის, არამედ, ნებისმიერი ძაღლის გამრავლება უნდა იყოს კონტროლქვეშ და ამას უნდა აკეთებდეს სახელმწიფო. არ შეიძლება, ძაღლი იყიდებოდეს „მაიმარკეტით“ და „ფეისბუქით“. უაზრო, პატრონებს შორის შეთანხმებითი შეჯვარებაც დაუშვებელია. ის მხოლოდ ლიცენზირებულ ძაღლსაშენში უნდა ხდებოდეს სწორი გენეტიკით და შესაბამისი ფასით. დიღმის ბაზრობაზე ნებისმიერი ადამიანი გავა და იყიდის ნებისმიერ ჯიშს, კაცმა არ იცის, როგორი გენეტიკის მატარებელი ძაღლებია. ეს უნდა აიკრძალოს ისევე, როგორც ონლაინ გაყიდვა. მათი გამრავლებაც ლიმიტირებული უნდა იყოს, თორემ სხვა შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ზარალდება ცხოველიცა და გარემოც.

– ბოლო დროს საუბრობენ, რომ შესაძლოა, ამ ჯიშის ძაღლების გამრავლება აიკრძალოს, ამაზე რა აზრის ხართ?

– მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებში არის ეს პრაქტიკა, არ ვემხრობი. ვიცნობ ბევრ ასეთი ჯიშის არაჩვეულებრივ ძაღლს, ისინი ნამდვილად არ წარმოადგენენ საფრთხეს საზოგადოებისთვის. რამდენი აგრესიული ადამიანი დადის ჩვენს ირგვლივ, ადამიანებს ხომ არ ვკრძალავთ? ძაღლების აგრესიის მართვა შესაძლებელია სწორი პატრონის შერჩევით. ის აგრესიული არ ხდება, თუ სწორადაა აღზრდილი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში აგრესიული კოდი მაღალია, ამის მართვა შესაძლებელია, უბრალოდ, მოითხოვს მეტ მუშაობას. რაც ამ საქმეს მივყავი ხელი, პატარა ჯიშის ძაღლების მიერ უფრო ვარ დაკბენილი, ვიდრე – დიდის. ყველაფერი დადის აღზრდამდე და პასუხისმგებლობამდე. ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომ არ შეიძლება ყველას ჰყავდეს მსგავსი ჯიშის ძაღლი, ზუსტად უნდა იყოს პატრონი დარწმუნებული თავის ძალასა და ფინანსურს შესაძლებლობებში, რადგან ძაღლს ბევრი რამ სჭირდება, მათ შორის კინოლოგთან ტარება. ასევე, მომხრე ვარ, ატარონ ალიკაპით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აგრესიული. რატომ უნდა ჩავაგდოთ სხვა ადამიანი სტრესსა და საფრთხეში...

– თუ პატრონს არ აქვს იმის მატერიალური ან ფიზიკური შესაძლებლობა, რომ ძაღლი კინოლოგთან ატაროს, ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მოიქცეს?

– თუკი საშუალება არ აქვთ, რომ ატარონ კინოლოგთან, გაუკეთონ ალიკაპი ყოველთვის. ელემენტარული ვარჯიშებით, რომელიც ინტერნეტში მოიპოვება, სახლშიც შეიძლება ბევრი რამ ასწავლონ და დაიმორჩილონ.

– როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ქუჩაში მივდივართ და სხვისი ძაღლი ჩვენი მიმართულებით აგრესიას გამოიჩენს?

– პირველ რიგში, არ უნდა გავიქცეთ, ზოგადად, ძალიან რთულია, ამ დროს ძაღლს არ დაანახო, რომ გეშინია. ზურგით არ დაუდგეთ და არ გააკეთოთ მკვეთრი მოძრაობა. სჯობს, წინიდან, პირით იდგეთ, ნელ-ნელა უკან წახვიდეთ და დაელაპარკოთ, ლაპარაკი მას აბნევს. შემდეგ კი შეგიძლიათ, შესაბამის უწყებაში – 112-ში დარეკოთ და პატრონს მოსთხოვოთ პასუხი.

ახალი ტიპის ანტობიოტიკი შექმნეს



შვედმა სწავლულებმა შეიმუშავეს GmPcides – ანტიბიოტიკების ახალი ტიპი, რომელიც მკურნალობის მიმართ მდგრად ბაქტერიებსაც ანადგურებს, მათ შორის, იმ მიკროორგანიზმებსაც, რომლებიც ინფექციებს საავადმყოფოშიც იწვევენ. პრეპერატი თავსებადია სხვა წამლებთან. მკვლევართა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ახალი ანტიბიოტიკები არა მხოლოდ აჩერებენ მიკრობების დაყოფას და გამრავლებას, არამედ, კლავენ კიდეც მათ. სიახლე ეფექტიანია ვანკომიცინ-რეზისტენტული ენტეროკოკების მიმართაც. ბაქტერიების ეს ტიპი აშშ-ს დაავადებების კონტროლის ცენტრმა მსაოფლიო ჯანმდაცვისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიარა.

ატლანტაში უფასო მაღაზია მოქმედებს

აშშ-ში, ატლანტას ერთ-ერთ უღარიბეს რაიონში უჩვეულო სუპერმარკეტი მოქმედებს. მაღაზიის მფლობელი ადგილობრივ მცხოვრებლებს უფლებას აძლევს, პროდუქტები უფასოდ აიღონ, რათა ფასების ზრდის ფონზე, გაჭირვებულები საკვებით უზრუნველჰყოს. მიუხედავად იმისა, რომ კლიენტები არ არიან ვალდებულები, ფული გადაიხადონ, ისინი ცდილობენ, ნავაჭრში სიმბოლური თანხა მაინც დატოვონ. ჯორჯიის შტატის დედქალაქში ინფლაციის დონემ 12%-ს მიაღწია, რაც აშშ-ში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამის გამო, ადგილობრივები სუპერმარკეტს ნამდვილ მარგალიტად თვლიან. მაღაზია კვირაში სამ დღესაა ღია და დღე-ღამეში 500-ზე მეტ ადამიანს ემსახურება. კლიენტები იღებენ იმდენ პროდუქტს, რამდენიც სჭირდებათ, მათ საფასურს კი საკუთარი შეძლების მიხედვით იხდიან.

სტრადივარის ვიოლინოს საიდუმლო გაშიფრეს

იტალიელმა ქიმიკოსებმა ანტონიო სტრადივარის ორი ვიოლინო შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ ოსტატი, ლაქის წასმამდე, ინსტრუმენტს ცხოველური წარმოშობის ცილებით ფარავდა, მათ შორის, კოლაგენითაც. ეს ფენა ავსებდა უმცირეს უსწორმასწორობას და სიმებიანი ინსტრუმენტის ჟღერადობას აუმჯობესებდა. საიდუმლო ფენა ქიმიკოსებმა ვიოლინოების – „სან-ლორენცოსა“ (1718 წელს შეიქმნა) და „ტოსკანოს“ (1690 წ.) სინქროტრონული დასხივების წყალობით აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ ეს დიდი იტალიელი ოსტატის ერთადერთი საიდუმლო არ არის. რამდენიმე წლის წინ, ტაივანელმა ქიმიკოსებმა სტრადივარის ინსტრუმენტებზე მინერალური კონსერვანტი აღმოაჩინეს, რომელიც კალციუმის, სპილენძის, ალუმინის, ნატრიუმისა და თუთიისგან შედგებოდა.

უალკოჰოლო ჯინი შექმნეს

ალკოჰოლის ბრიტანელმა მწარმოებელმა, კომპანია Halewood Artisanal Spirits-მა პირველად გააფართოვა პროდუქციის წარმოება low and no-ის კატეგორიაში და მომხმარებელს უალკოჰოლო ჯინი ოთხ ვარიანტად შესთავაზა. ყველა მათგანი Whitley Neill-ის ჯინისგანაა დამზადებული და დეალკოლიზებულია სპეციალური ვაკუუმური კოლონით. სიახლე ნისლიან ალბიონზე ინტერნეტ-მაღაზიებში იყიდება. ერთი ბოთლი უალკოჰოლო ჯინის ფასი 22 გირვანქა სტერლინგია.

ნაგვის „დაჭერაში“ ფულს გადაუხდიან

ინდონეზიელებმა ოკეანის ნაგვისგან გასაწმენდად უჩვეულო პროგრამა დაიწყეს. ერთი თვის განმავლობაში, ქვეყნის საზღვაო საქმეთა და მეთევზეობის სამინისტრო 10 დოლარს გადაუხდის კვირაში მათ, რომლებიც ყოველდღიურად, წყალში 4 კილოგრამ ნაგავს „დაიჭერენ“. ამ აქციაში მონაწილეობის სურვილი უკვე 1700-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, აქაური მეთევზეები კვირაში 9 დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებენ, ამიტომ ხელისუფლების წინადადება მათთვის ხელსაყრელია. აღსანიშნავია, რომ ინდონეზია ოკეანის პლასტმასით დაბინძურების ლიდერია მსოფლიოში. სპეციალისტთა გათვლებით, პოლიმერული ნარჩენების გადაყრა თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდება, 2050 წლისთვის, ნაგვის მასა ოკეანეში თევზის მასას გადააჭარბებს.

თვალის მაგივრად, ფანარი ჩაისვა

ამერიკელმა ბლოგერმა მამაკაცმა თვალი დაკარგა და მის ნაცვლად, ფანარი ჩაიყენა შუქ-დიოდით. ასე გადაიქცა „კიბორგად“. მამაკაცმა მხედველობის ორგანო დაავადების გამო დაკარგა, თუმცა უიმედობას არ შეუპყრია, პირიქით, ამ შესაძლებლობის გამოყენება გადაწყვიტა. მან ხელოვნური თვალი ჩაიდგა აკუმულატორით და დიოდური განათებით, რომელიც ფანრის ფუნქციას ასრულებს. ის მფლობელის მოთხოვნით ირთვება – თვალის გარკვეული მოძრაობით. ერთ-ერთ ვიდეოში ბლოგერი აჩვენებს, რომ თვალი-ფანარის შუქი მარტო სიბნელეში კითხვის დროს კი არ შველის, მთელ ოთახსაც კი ანათებს. ბატარეის ერთი დამუხტვა 20-საათიან შეუსვენებელ მუშაობას ჰყოფნის. თავად ხელოვნური თვალი არ ცხელდება და პატრონს დისკომფორტს არ უქმნის.

ღამით ჭამა ფსიქიკას აზიანებს

ამერიკელმა სწავლულებმა, ბოსტონის უნივერსიტეტიდან, გაარკვიეს, რომ ღამით ჭამა მავნეა ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, რადგან ზრდის შფოთვისა და დეპრესიის დონეს. მკვლევარების ექსპერიმენტში 12 მამაკაცი და სუსტი სქესის 7 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად დაყვეს: საკონტროლო, რომელიც საკვებს 28-საათიანი ციკლით იღებდა (რის გამოც ჭამდა, როგორც დღისით, ასევე, ღამეც) და ჯგუფი, რომელიც საკვებს 24-საათიანი ციკლით იღებდა (ჭამდა მხოლოდ დღის განმავლობაში). სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებში დეპრესიის მსგავსი განწყობის დონე 26%-ით გაიზარდა, შფოთვის კი – 16%-ით.

ტურისტებმა გონდოლა მოიპარეს

ვენეციაში ჩასული ორი ფრანგი ტურისტი საბოლოოდ პოლიციაში აღმოჩნდა – მათ ქალაქის ერთ-ერთი სიმბოლო, გონდოლა მოიპარეს. ნავის მეპატრონის თქმით, გონდოლას საფარი, ბალიშები, დეკორაციები და სხვა მორთულობა ასობით დოლარი ღირს. ქურდებმა ისინი არხში გადაყარეს და ცურვა ასე გააგრძელეს. ოფიციალური ინფორმაციით, დაკავებულები 30 წლამდე მამაკაცები არიან. ისინი ბედნიერები ჩანდნენ, იცინოდნენ და ბოდიშიც კი არ მოიხადეს. „ძალიან გაუმართლათ, რომ პოლიციამ მათთან პირისპირ არ დამტოვა, თორემ დიდი სიამოვნებით ვცემდი“, – ამბობს გონდოლას მფლობელი. ქურდებს კი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გარდა, ზარალის ანაზღაურებაც ემუქრებათ.

ბოტასი ცხენებისთვის

აკადემია The Shoe Surgeon-ის კურსდამთავრებულმა, დიზაინერმა მარკუს ფლოიდმა საკუთარი ბრენდის – Horse Kicks ჩაშვება დააანონსა, რომელიც ცხენებისთვის ბოტასის შეკერვაზე იქნება ორიენტირებული. სადებიუტო კოლექციისთვის ფლოიდმა ისეთი პოპულარული ბრენდების მოდელები გადააკეთა, როგორებიცაა Air Jordan 1, New Balance 650 და Yeezy BOOST 350 V2. ამ მოდელების საფირმო ნიშნები შენარჩუნებულია, ფეხსაცმელი კი ცხენის ჩლიქისთვისაა შეკერილი. ახალი „ნალები“ „ნათლობას“ მიიღებს წმინდა სისხლის ცხენების რბოლაზე – Breeders'Cup, რომელიც მომავალ თვეში უნდა გაიმართოს. ფლოიდი მიიღებს შეკვეთებს ცხენების მფლობელებისგანაც. თუმცა, ეს „ნალი-ბოტასები“ გაცილებით ძვირი იქნება ჩვეულებრივზე – ერთ ცხენს რომ ასეთი „ფეხსაცმელი“ ჩააცვან, მის პატრონს 1200 დოლარის გაღება მოუწევს.

ალცჰაიმერის ვაქცინას გამოსცდიან

აშშ-ში ალცჰაიმერის სამკურნალო ნაზალური ვაქცინის კლინიკური ცდები იწყება. კვლევის მიზანი პრეპარატის ეფექტიანობის განსაზღვრაა. ტესტირება ბოსტონში მდებარე ბრიგემის ქალთა საავადმყოფოში ჩატარდება. თუ ამ კლინიკური ცდების შედეგად ვაქცინის ეფექტიანობა და უსაფრთხოება დადასტურდა, შესაძლოა, ეს დაავადების მკურნალობის არატოქსიკური მეთოდი გახდეს. პრეპარატი რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებს დაავადების პრევენციაში დაეხმარება. ახალი ვაქცინა იმუნოთერაპიული პრეპარატის – პროტოლინისგან შედგება, რომელიც ორგანიზმის იმუნურ სისტემას ასტიმულირებს. კლინიკური ცდების პირველი ფაზა ექვს თვეს გაგრძელდება, რის შემდეგაც, მეორე ფაზა ჩატარდება და მასში 150 მოხალისე მიიღებს მონაწილეობას.

მანქანა ადამიანის „გასარეცხად“

იაპონელი გამომგონებლებისგან რომ აღარაფერი უნდა გაგვიკვირდეს, კარგად ვიცით, თუმცა ზოგჯერ მაინც გვტოვებენ პირდაღებულებს. ამჯერად ჩვენს გაოცებას ტექნოლოგიური კომპანია Science Co. Ltd აპირებს, რომელიც ინოვაციებზე მუშაობს სააბაზანოებისა და სამზარეულოებისთვის. ცოტა ხნის წინ, კომპანიამ გეგმები განასაჯაროვა, რომელიც ადამიანის „გასარეცხი“ სარეცხი მანქანის წარმოებას გულისხმობს, Mirable-ის პროდუქტების ხაზით. ამ უჩვეულო მოწყობილობის პროექტს Usoyaro უწოდეს. მისი მიზანი არა მხოლოდ მომხმარებლის სხეულის საგულდაგულო წმენდაა, არამედ, მისთვის დასასვენებელი სივრცის შეთავაზებაც, სადაც ის დამამშვიდებელი მუსიკის თანხლებით მოდუნებას შეძლებს. გავრცელებული ინფორმაციით, Usoyaro კომპანიის პრეზიდენტის იასუაკი აოიამას საყვარელი პროექტია. ის ჯერ კიდევ 10 წლის იყო, როცა ადამიანების სარეცხი მანქანის იდეას პირველად მოჰკრა ყური. ძალიან უნდოდა, თავად შეექმნა ასეთი მანქანა და ახლა შანსი მიეცა. როგორც ვარაუდობენ, მოწყობილობა გასაყიდად ბაზარზე 2025 წლისთვის უნდა გამოჩნდეს.

პითონმა ქალი გადაყლაპა

ინდონეზიაში, ჯამბის პროვინციაში, 54 წლის ქალი, სახელად ჯაჰრა, ერთი კვირის წინ გაუჩინარდა. ძებნის შემდეგ, სამართალდამცავებმა მისი ცხედარი 7-მეტრიანი პითონის მუცელში აღმოაჩინეს. გველის თავდასხმის მომენტში, ქალი კაუჩუკის პლანტაციაში მუშაობდა. სამუშაოდან შინ რომ აღარ დაბრუნდა, ოჯახის წევრებმა დახმარება პოლიციას სთხოვეს. ორდღიანი ძებნის შემდეგ, ჯაჰრას სანდლები, ქურთუკი და დანა იპოვეს, მოგვიანებით კი გიგანტური პითონი ნახეს გაბერილი მუცლით. ადგილობრივი პრესის ცნობით, სამართალდამცველებმა მოკლეს რეპტილია, გაჭრეს და იქ ნახეს დაკარგული ქალის ცხედარი.

გლინტვეინის აბაზანებს სთავაზობენ

ბრიტანული სასტუმრო Shrigley Hall, მოახლოებული დღესასწაულების წინ, კლიენტებს ახალ სერვისს სთავაზობს ზამთრის ყველაზე პოპულარული სასმელით – სპა-პროცედურა „მსოფლიოში პირველი“ გლინტვეინის ჯაკუზით. ჰიდრომასაჟის აბაზანაში 1000 ლიტრამდე (560 ბოთლზე მეტი) ღვინოს ასხამენ, რომელიც ისე გადამუშავდება, რომ pH-ის ნეიტრალური დონე უზრუნველჰყოს. სასმელი კომფორტულ, 37 გრადუსამდე ცხელდება, რის შედეგადაც ფორები იხსნება და სხეულიდან ტოქსინები გამოიდევნება, კანი კი გლინტვეინში არსებულ სასარგებლო ნაერთებს შთანთქავს. სპეციალისტების თქმით, წითელ ღვინოში არსებული ტანინები ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა, ებრძვის ვირუსებს და სოკოს, აუმჯობესებს გულის მუშაობას და სისხლის მიმოქცევას. ასეთი სპა-პროცედურის ფასი, ჭიქა გლინტვეინთან ერთად, 60 გირვანქა სტერლინგიდან იწყება.

დე-ვიტამინის ნაკლებობა შიზოფრენიას იწვევს

დანიელმა და ავსტრალიელმა სწვლულებმა დაადგინეს, რომ დაბადებისთანავე დე-ვიტამინის უკმარისობა შიზოფრენიის განვითარების მომატებულ რისკს იწვევს. ბავშვებს, რომლებიც ამ ვიტამინის ნაკლებობით დაიბადნენ (20.4 ნანომოლზე ნაკლები – ლიტრზე), მომავალში შიზოფრენიის განვითარების რისკი 44%-ზე მაღალი ჰქონდათ. ამის დასადასტურებლად, სწავლულებმა 2 602 ადამიანის მონაცემები გააანალიზეს, რომლებიც 1981-2000 წლებში დაიბადნენ. მათგან ნახევარი ფსიქიკურად დაავადებული იყო, ნახევარი კი საკონტროლო ჯგუფში შევიდა. სპეციალისტებმა გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სქესი, ასაკი, დაბადების თარიღი, ოჯახში ფსიქიკური დაავადებები, მშობლების ასაკი დაბადებისას, წონა და გარემო პირობები. გამოსაკვლევად აიღეს გენეტიკური მასალაც. შედეგად აღმოჩნდა, რომ დე-ვიტამინის დეფიციტით დაბადებული ახალშობილები მოზრდილ ასაკში, სხვებზე მეტად ავადდებოდნენ შიზოფრენიით.

დაბინძურებულ წყალს ჰიდროგელით გაწმენდენ

ამერიკელმა სწავლულებმა, ტეხასის უნივერსიტეტიდან, ჰიდროგელის ტაბლეტები შექმნეს, რომელსაც დაბინძურებული წყლის სწრაფად გაწმენდა შეუძლია. ეს აბი ერთ საათში შეძლებს ერთი ლიტრი მდინარის წყლის დეზინფიცირებას და ის სასმელად ვარგისი იქნება. წყლის გაწმენდის ძირითად მეთოდებთან შედარებით, როგორიცაა მისი ადუღება და პასტერიზაცია, რაც, თავის მხრივ, ენერგიასა და დროს მოითხოვს, ჰიდროგელის შექმნას არ სჭირდება ენერგოხარჯები და არ გამოყოფს მავნე პროდუქტებს. ჰიდროგელები წარმოქმნის წყალბადის ზეჟანგს ბაქტერიების ნეიტრალიზაციისთვის, რასაც 99.999%-იანი ეფექტურობით ახერხებს. წყალბადის ზეჟანგი ზემოქმედებს აქტივირებულ ნახშირთან, რათა შეუტიოს ბაქტერიების ძირითად უჯრედულ კომპონენტებს და დაარღვიოს მათი მეტაბოლიზმი. მკვლევართა მოსაზრებით, ჰიდროგელის დასამზადებლად საჭირო მასალა იაფია, სინთეზის პროცესი კი უმარტივესი, ის თავისუფლად შეიძლება გამოიყენონ დიდ მასშტაბებში.

ეკო-პლასტმასი შექმნეს

ჩინელმა სწავლულებმა ეკოლოგიურად სუფთა, უნიკალური პლასტმასი შექმნეს. ბიოდეგრადირებადი მასალა ორაგულის სპერმისა და მცენარეული ზეთისგან მზადდება. სპეციალისტებმა თევზის სპერმის დნმ-ის ორი მოკლე ჯაჭვისა და ზეთისგან დამზადებული ქიმიკატის შერწყმა შეძლეს. ამ შემთხვევაში, მცენარეული ზეთი „წებოს“ როლს ასრულებს. ამ კომბინაციის შედეგად, სწავლულებმა რბილი კონსისტენციის მასალა მიიღეს, რომელიც ჰიდროგელს წარმოადგენს. ამის შემდეგ, გელი ფორმებში იდება და იყინება. ეს ხელს უწყობს პლასტმასისგან ზედმეტი ტენიანობის მოცილებას. გაგრილების შემდეგ კი მიღებული მასალა პლასტმასის კონსისტენციას იღებს.

სასტუმრო აქლემებსაც გაუხსნეს

საუდის არაბეთში აქლემებისთვის სასტუმრო გახსნეს, რომელიც პირველია მსოფლიოში. აქ 50 ადამიანზე მეტი ემსახურება Rest Assured-ის 120 ნომერს. მფლობელებს შეუძლიათ, საკუთარი „უდაბნოს ხომალდები“ მეთვალყურეობის ქვეშ დატოვონ. სასტუმროს პერსონალი მოუვლის აქლემებს, დაალაგებს ნომრებს და დაიცავს ცხოველებს. ხუთვარსკვლავიანი ოტელის მომსახურებაში შედის საკვები და თბილი რძე აქლემებისთვის. ერთი დღე-ღამის მომსახურება ამ სასტუმროში, დაახლოებით, 400 რიალი (200 დოლარი) ღირს.

მარილი იმუნურ სისტემას აქვეითებს

მარილის ჭარბმა მოხმარებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს არა მხოლოდ სისხლის წნევის კრიტიკული მატება, ინფარქტისა და ინსულტის რისკის ზრდა, არამედ, ის შეიძლება იმუნიტეტის დაქვეითების მიზეზიც გახდეს – გვაფრთხილებენ გერმანელი სწავლულები, ბონის უნივერსიტეტიდან. კვლევებისას მოხალისეები, გარდა ჩვეულებრივი მოხმარებისა, დამატებით კიდევ 6 გრამ მარილს იღებდნენ ყოველდღიურად. დაახლოებით, ამ რაოდენობის მარილს შეიცავს ორი ჰამბურგერი და ორი პორცია კარტოფილი-ფრი. უკვე ორი კვირის შემდეგ, ასეთი რაციონის გამო, იმუნური უჯრედები ბაქტერიებს გაცილებით ცუდად უმკლავდებოდნენ. მარილის მომატებულმა რაოდენობამ მკვეთრად გამოხატული იმუნოდეფიციტი გამოიწვია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, დღეში 5 გრამზე მეტი მარილის მიღება სასურველი არ არის.

კვერცხის შემცვლელი ნარჩენებისგან

სწავლულთა ჯგუფმა სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან, უჩვეულო გამოყენება მოუძებნა ლუდის წარმოების ნარჩენებს. მკვლევარებმა მის საფუძველზე მცენარეული ემულგატორი შექმნეს, რომელიც მაიონეზსა და ნაყინში კვერცხის გულს ჩაანაცვლებს. ემულგატორები პროდუქტს ერთგვაროვანი მასის შენრჩუნებაში ეხმარებიან და არ აძლევენ საშუალებას, რამდენიმე სითხედ გაიშალოს. მაგალითად, ზეთი და წყალი გამოიყოს მაიონეზში ან სხვა სოუსებში. ჩვეულებისამებრ, სტაბილიზატორად კვერცხის გულს იყენებენ, თუმცა სწავლულებმა მას უსაფრთხო, მცენარეული შემცვლელი მოუძებნეს. ამისთვის, მათ ლუდის ხარშვისთვის გამოყენებული მარცვლეული აიღეს – ყოველწლიურად, მსოფლიოში 39 მილიონი ტონა ასეთი ნარჩენი იყრება ნაგავში და ატმოსფეროს აბინძურებს. სპეციალისტებმა კი ახალი ტექნოლოგიის წყალობით, მისგან მცენარეული ემულგატორი მიიღეს, რომელიც გემობრივი თვისებებით არ ჩამოუვარდება ჩვულებრივს. მის გამოყენებას ნაღების ნაყინისა და სოიოს რძის წარმოებაში აპირებენ.

ჩინელ მამაკაცებს ტელე-მაკიაჟი აუკრძალეს

ამ აკრძალვას ჩინეთში იმით ხსნიან, რომ არტისტები, რომლებიც მაკიაჟს იყენებენ, ტრადიციებს არღვევენ. ახლა ტელევიზიით ვერ აჩვენებენ პიროვნებებს, რომლებიც „საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის“ უგულებელყოფაში არიან შემჩნეულნი. ქვეყნის ხელისუფლებამ დაავალდებულა ტელევიზიები, რომ სილამაზის სტანდარტები დაადგინონ, რაც შესაბამისობაში იქნება ჩინეთის მორალურ ღირებულებებთან. ეს ნიშნავს, რომ აქცენტი უნდა გააკეთონ სოციალისტურ და ტრადიციულ ჩინურ კულტურაზე და არა – გასართობ კონტენტსა და ფუფუნების დემონსტრაციაზე. გარდა ამისა, ტელევიზიების ხელმძღვანელებს თანამშრომლებისთვის მაღალი ხელფასის გადახდა აუკრძალეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.